

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი



თეონა ჩუბინიძე

**მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადები
სასამართლო გადაწყვეტილებებში**

წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი 2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, თეონა ჩუბინიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ჩუბინიძე თეონას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: მემკვიდრეონის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადები სასამართლო გადანაცვებებში და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: _____

თარიღი: _____

რეზიუმე

მემკვიდრეობის უფლება კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. აღნიშნული უფლების კონსტიტუციით განმტკიცება ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას აღიარებდეს და იცავდეს ამ უფლებას.

სამაგისტრო ნაშრომი დაკავშირებულია მემკვიდრეობის მიღებასთან, კერძოდ მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადებთან. ნაშრომში ასახულია მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადები და დამუშავებულია სასამართლო გადაწყვეტილებები, განხილულია სამკვიდროს მიღებისა და მასზე უარის თქმის ნორმები, რომელიც მონესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით, შედარებაა გაკეთებული სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან და განხილულია თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების და უარის თქმისთვის დადგენილი ვადებით კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობა და იმ შედეგების წინა პლანზე წამოწევა რაც შეიძლება გამოიწვიოს უმოქმედობამ. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული მემკვიდრეობის მიღებისა და უარის თქმის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

Abstract

The right to inheritance is one of the basic human rights guaranteed by the Constitution. Strengthening the right to this constitution underlines the State's obligation to recognize and defend this right.

Master's thesis is related to the receipt of inheritance, namely the receiving and refusal of inheritance. The work reflects the timeframe and denial of the inheritance and the judicial decisions are processed and the norms for acceptance and denial of the estate are regulated by the legislation of Georgia, comparable to the laws of other countries and the literature related to the topic.

The main objective of the work is to use legislation and heir can accept or refuse inheritance. Also what heir can do when the date of legacy acceptance is gone.

სარჩევი

1. შესავალი	6
2.მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა	8
3.მემკვიდრეობის სახეები	14
3.1.კანონით მემკვიდრეობა.....	15
3.2.ანდერძით მემკვიდრეობა.....	19
4.მემკვიდრეობის მიღება	27
4.1.სამკვიდროს მიღების წინაპირობები.....	28
4.2.სამკვიდროს მიღების ვადა	32
4.3.სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება	35
4.4.სამკვიდროს მიღებისას შედავების ვადა	41
5. მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმა.....	44
5.1.სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა.....	45
5.2 უარის თქმა სამკვიდროს ნაწილზე.....	47
5.3.უარი სხვა პირის სასარგებლოდ.....	53
5.4. ერთადერთი მემკვიდრის უარი	56
5.5. უარის თქმის უფლების გადასვლა	59
6.დასკვნა	62
7.ბიბლიოგრაფია.....	64

1. შესავალი

ქართული საზოგადოებისათვის ერთ-ერთი აქტუალური თემა მემკვიდრეობაა. ჩემი აზრით კი ყველაზე მოთხოვნად საკითხად სწორედ მემკვიდრეობის მიღება შეიძლება დასახელდეს, რადგან საინტერესოა ის საკითხები რომელიც უკავშირდება მემკვიდრეობის მიღების ან მასზე უარის თქმის კანონმდებლობით დადგენილ ვადებს, რასაც ადასტურებს კიდევ სასამართლოს სტატისტიკა მემკვიდრეობითი სამართლის კუთხით. 2018 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოებში განსახილველი იყოს 918 სამემკვიდრეო დავა, 2017 წელს - 968 სამემკვიდრეო დავა, ხოლო 2016 წელს კი 910.¹ აღნიშნული ციფრები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სამემკვიდრეო სამართალთან დაკავშირებული საკითხები მოსახელობისთვის საინტერესო და აქტუალურია.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, მემკვიდრეობის მიღების ან მასზე უარის თქმის ვადების სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. აღნიშნულთან დაკავშირებით, განხილული და დამუშავებული იქნება სამკვიდროს მიღებასა და მასზე უარის თქმასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები და შესაბამისი ლიტერატურა. ასევე გამოკვლეული იქნება მხარეებს შორის წარმოშობილი დავის სამართლებრივი ანალიზი და ის სამართლებრივი შედეგები, რაც სამემკვიდრეო საქმის წარმოებისას დგება.

¹ საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილული სტატისტიკა 2016, 2017, 2018 წელი
<<http://www.supremecourt.ge/statistics/>>

უნდა აღინიშნოს რომ სამაგისტრო ნაშრომით გათვალისწინებული საკითხი ნაკლებადაა განხილული და შესწავლილი იურიდიულ ლიტერატურაში. შესაბამისად, საკითხის შესწავლა სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით მოგვცემს საინფორმაციო ბაზას, რომელიც საწინდარი იქნება პრაქტიკული გამოყენების.

აღსანიშნავია ისიც რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სამკვიდროს მიღებასა და მასზე უარის თქმასთან დაკავშირებული ნორმები დეტალურადაა განვიხილო, თუმცა პრაქტიკაში დანერგილი საკითხებით ნორმების გამრავალფეროვნება საკითხავად საინტერესოს გახდის ნაშრომის სტრუქტურას.

სამაგისტრო ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება მემკვიდრეობითი სამართლის ცნება, დანიშნულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული მემკვიდრეობითი სამართლის სახეები, ასევე განხილული იქნება მემკვიდრის მიერ სამკვიდრის მიღების წესი და სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ნორმები, ასევე ყურადღება იქნება გამახვილებული სამკვიდროს მიღების ან უარის თქმის სამართლებრივ შედეგებზე და რაც ყველაზე მთავარია განხილული იქნება მიღებისა და უარის თქმის ვადები სასამართლო გადაწყვეტილებებში.

სამაგისტრო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმის ვადის გაშვების შემთხვევებზე და ასეთ დროს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების და უარის თქმისთვის დადგენილი ვადებით კანონმდებლობის შესაბამისად სარგებლობა და იმ შედეგების წინა პლანზე წამოწევა რაც შეიძლება გამოიწვიოს უმოქმედობამ. ნაშრომის მიზანია ერთ მთლიანობაში მოექცეს სამკვიდროს მიღებისთვის ან მასზე უარის თქმისთვის განსაზღვრული წინაპირობები და ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულ იქნება ქართული ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები, სასამართლო პრაქტიკა, საჭიროებისამებრ უცხოური წყაროები შედარებით სამართლებრივი ანალიზის კუთხით.

2.მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ მაქსიმალურად გაამყარა ადამიანის უფლებათა კატალოგი და გახდა მნიშვნელოვანი შტრიხი იმ რეფორმების ჯაჭვში, რომლებიც შეეხება ინდივიდუალური სამართლებრივ სტატუსს. კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“² კონსტიტუციაში ასეთი უფლების დამაგრება იმავდროულად, განაპირობებს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღიარებდეს, უზრუნველყოფდეს და იცავდეს მას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნი განამტკიცებს იმ საკითხებს რომლებიც დაკავშირებულია მემკვიდრეობით სამართალთან. მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებული ნორმების კომენტარი კი ასახულია სამოქალაქო კოდექსის კომენტარების მეხუთე ტომში.

საინტერესოა მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიული ექსკურსი, საკითხი იმასთან დაკავშირებით თუ როგორ რეგულირდებოდა მემკვიდრეობით-

² ლეილა კობრიძე - ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას - მართლმსაჯულება და კანონი #2/14, გვ.9

სამართლებრივი დავები ან თუნდაც საკითხები კოდექსის ამოქმედებამდე. ზემოთ ნახსენებია, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკუთრების უფლების სახელწოდებით წარმოადგენს მე-19 მუხლს, სადაც საუბრობს, რომ საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება ხელშეუხებელია და უზრუნველყოფილი. ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით კი, სამოქალაქო სამართლის თეორია საკუთრების წარმოშობის თავდაპირველ და ნაწარმოებ გზებს იცნობს. საკუთრების უფლების თავდაპირველი გზაა, როდესაც ნივთს ან ქონებას ანუ საკუთრების ობიექტს არ ჰყოლია მესაკუთრე და საკუთრება წარმოიშვა პირველად. ხოლო ნაწარმოები გზაა, როდესაც ნივთს ან ქონებას, ან საკუთრების უფლების ობიექტს ჰყავდა მესაკუთრე და სხვადასხვა მიზეზებით გამოვიდა ეს ქონება ან სიკეთე მისი საკუთრებიდან და გადავიდა ახალი მესაკუთრის ხელში. ასეთი გზებია: ბოძება (ჩუქება), ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, მზითევი, გირავნობა, შეწირულობა, მემკვიდრეობა და სასამართლო გადაწყვეტილება.³ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობდა მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამართალში ასეთი მოვლენას აღმნიშვნელი ტერმინი იყო „მკვიდრობა“, რომელიც წარმოდგებოდა მინაზე, მამულზე დამკვიდრებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “ადრეფეოდალიზმის ხანის არც ერთი საკანონმდებლო ძეგლი ჩვენამდე შემორჩენილი არ არის, რომელშიც მოცემული იქნებოდა სამემკვიდრეო სამართლის საკითხები. სამაგიეროდ გვაქვს საისტორიო ხასიათის თხზულებები, აგიოგრაფიული ძეგლები, რომელთა მეშვეობით ხერხდება აღნიშნული პრობლემების გარკვევა. გაერთიანებული ფეოდალური ხანიდან კი სამემკვიდრეო სამართლის საკითხებზე გარკვეული ცნობებს გვანვდის დავით აღმაშენებლის ანდერძები, ასევე XIII საუკუნის ძეგლი, ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმისადმი, სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს არეგულირებს ბაგრატ კურაპალატის, გიორგი ბრწყინვალეს, ბექასა და

³ ვალერიან მეტრეველი - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 314-315, 2003 წელი

აღბუღას სამართლის წიგნები, ხოლო XVIII საუკუნიდან ვახტანგის სამართლის წიგნი და მის მიერ შედგენილი კოდიკო. საინტერესო ცნობებია მოცემული XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილ ძეგლში „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, მემკვიდრეობის სამართალი შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა. უკვე VIII-IX საუკუნეებში საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი არსებობდა.”⁴ აღნიშნულიდან ჩანს, რომ ქართულ მემკვიდრეობით სამართალშიც მოიპოვება ცნობები მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებით და იგი აღიარებულია საკუთრების სამართლის განშტოებად.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი მთავარი ამოცანა არის კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოს მემკვიდრეობითი ურთიერთობების რეგულირება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: მემკვიდრეობა არის - „გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე“. ე.ი. მემკვიდრეობა არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი და პირადი ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან.⁵ კანონმდებლობის მოცემული ჩანაწერის მიხედვით მემკვიდრეობის შემდეგი სუბიექტები გვყავს სახეზე: გარდაცვლილი პირი ანუ მამკვიდრებელი და სხვა პირები ანუ მემკვიდრეები.

მამკვიდრებელი არის პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგ, მისი კუთვნილი ქონება გადადის სხვა პირის ან პირთა საკუთრებაში. მამკვიდრებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. არა აქვს მნიშვნელობა ასეთი ფიზიკური პირი

⁴ ვალერიან მეტრეველი - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 376, 2003 წელი

⁵ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - მემკვიდრეობითი სამართალი, გვ.9, 2011 წელი

საქართველოს მოქალაქეა, უცხო ქვეყნის მოქალაქეა თუ აპატრიდია (მოქალაქეობის არმქონე პირი).⁶ ხოლო მემკვიდრე ის პირია, რომელზედაც გადადის მამკვიდრებლის ქონება. მამკვიდრებლისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს მემკვიდრე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი⁷. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ დათქმას ითვლისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვით: „მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ: ა) კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან; ბ) ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.“⁸ აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, ისიც რომ სამემკვიდრეო ურთიერთობა ორი სახისაა და ესენია: კანონით (კანონისმიერი) მემკვიდრეობა და ანდერძით (ანდერძისმიერი) მემკვიდრეობა. აღნიშნულ სახეებთან დაკავშირებით დეტალურად შემდგომ თავში იქნება საუბარი, მანამდე კი უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ფიზიკური პირი მემკვიდრე (როგორც ანდერძით, ასევე კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში) იქნება იმ შემთხვევაში თუ იგი ცოცხალი იყო მამკვიდრებლის სიცოცხლის მომენტისთვის, გამონაკლისია რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და ცოცხლები დაიბადნენ მამკვიდრებლის სიკვდილის შემდეგ, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში აუცილებელია რომ გარდაცვალების მომენტისათვის კანონმდებლობის შესაბამისად იყოს შექმნილი.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, სამემკვიდრეო სამართლის სუბიექტებზე, იმისათვის რომ კარგად გავიაზროთ მემკვიდრეობითი სამართლის მნიშვნელობა, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ თუ რა შეიძლება იყოს მემკვიდრეობის ობიექტი.

⁶ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - მემკვიდრეობითი სამართალი, გვ.18, 2011 წელი

⁷ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მეხუთე ტომი, გვ.363, 2000 წელი

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1307

ისტორიულად მემკვიდრეობის უფლება ჯერ მოძრავ, ხოლო შემდეგ უძრავ ქონებაზე გაჩნდა.⁹ თანამედროვე სამემკვიდრეო სამართალი კი წარმოუდგენელია სამკვიდროს გარეშე, რომელიც მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთი კომპონენტია. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით: „სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ - ამ ქონების ღირებულება.“

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, ზემოთ მოყვანილი მუხლი, რომლის შესაბამისად, „სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ - ამ ქონების ღირებულება. დასახელებული ნორმით განსაზღვრულია სამკვიდრო ქონების ცნება და დადგენილია, რომ მემკვიდრეს, რომელიც ცალმხრივი ნების გამოვლენის გზით სამკვიდროს მიღების დამადასტურებელ იურიდიულ მოქმედებებს განახორციელებს, გადაეცემა გარდაცვლილი პირის ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც მას გარდაცვალების დროისათვის გააჩნდა. ამავე კოდექსის 1306-ე და 1451-ე მუხლების შესაბამისად, მემკვიდრე სამკვიდროს ფარგლებში სრულად ანაცვლებს გარდაცვლილ პირს იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც მას გარდაცვალებამდე გააჩნდა. უფლებამონაცვლეობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი წარმოშობს მემკვიდრის საკუთრების უფლებას პირის გარდაცვალების მომენტიდან და უფლებამონაცვლეს, როგორც მესაკუთრეს, შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი,

⁹ ვალერიან მეტრეველი - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 380, 2003 წელი

კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (სკ-ის 170-ე მუხლი).¹⁰ ხოლო სააპელაციო სასამართლო განმარტავს „სამკვიდრო ქონება შედგება სამკვიდრო აქტივისა და სამკვიდრო პასივისაგან. სამკვიდრო აქტივს შეადგენს ღირებულების მქონე უძრავ-მოძრავი ქონება, მოთხოვნები და ა.შ. ერთობლიობა; უდავოა ისიც, რომ უძრავ ქონებაზე - მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით ხელშეკრულების დადების მოთხოვნის უფლება შედის სამკვიდრო აქტივში“¹¹, ხოლო 2014 წლის 25 მარტის №2ბ/6068-13 საქმის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ფლობა ან მართვა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად). ამდენად, სამკვიდროს მიღების ფაქტს, განსახილველი ნორმის თანახმად, გააჩნია უკუძალა, ე.ი, მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან და, შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო გახსნის დღეს არსებული ქონებით.

მოცემული გადანწყვეტილებებით, იმის თქმა მინდოდა, რომ მემკვიდრეობის ობიექტი არის ის იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც გადაეცემა მემკვიდრეს და ასახავს გარდაცვლილის განვლილ გზას.

¹⁰ უზენაესი სასამართლოს გადანწყვეტილება - №ას-646-613-2014
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

¹¹ სააპელაციო სასამართლოს გადანწყვეტილება - №3ბ/1234-16
<http://library.court.ge/judgements/32672017-08-30.pdf>

3.მემკვიდრეობის სახეები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამემკვიდრეო ურთიერთობა ორი სახისაა და ესენია: კანონით (კანონისმიერი) მემკვიდრეობა და ანდერძით (ანდერძისმიერი) მემკვიდრეობა. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი რათა უკეთ ჩავწვდეთ მათ მნიშვნელობას და როლს სამემკვიდრეო ურთიერთობათა რეგულაციის კუთხით.

3.1. კანონით მემკვიდრეობა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კანონით მემკვიდრეობისთვის დამახასიათებელ ნორმებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში. აღნიშნული ნორმატიული აქტის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეობის დროს თანაბარი უფლებებით აღჭურვილ მემკვიდრეებს. ამავე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია მემკვიდრეთა რიგითობა და უნდა ითქვას რომ აღნიშნული რიგითობა კანონის იმპერატიული მოთხოვნაა. მემკვიდრეთა ხუთი რიგის არსებობა გამორიცხავს კანონის საკუთარი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაციას. კანონის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი რიგის მემკვიდრეებს: პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ

ნათესავეებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებუის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.¹²

კანონის აღნიშნული ჩანაწერი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობებისთვის განსაზღვრული კანონით მემკვიდრეების რიგითობა მკაფიოდ და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული, რომელიც არ საჭიროებს დამატებით განსაზღვრებას.

ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით, “მემკვიდრეობის საფუძველს შეადგენდა სისხლით ნათესაობა. შეინიშნება ასევე ხელოვნური ნათესაობის მემკვიდრეობაც (არასისხლით ნათესავი), მაგრამ ძალზედ შეზღუდულად. ნათესაობის აღსანიშნავად, ქართულში მრავალი ტერმინი გამოიყენებოდა: შვილი, მშობელი, მკვიდრი, თვისი, მეყვსი.”¹³ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით კანონით მემკვიდრეთა

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1336

¹³ ვალერიან მეტრეველი - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 382, 2003 წელი

წრეში, პირველ ყოვლისა შედიოდნენ შვილები და უპირატესობით გამოირჩეოდნენ ვაჟები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ქართული სამართალი არ არეგულირებდა წესს ქალიშვილების მემკვიდრედ ყოფნის შესახებ, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სამართალი ითვალისწინებდა ავადმყოფი შვილის წილსაც მემკვიდრეობაში. ასევე ითვალისწინებდა ნაშვილები და უკანონოდ შობილი შვილების სამემკვიდრეო უფლებებს. რაც შეეხება გვერდითი ხაზის ნათესავებს - ძმებს, დისშვილებსა და ძმისშვილებს - თუმცა საკანონმდებლო ძეგლებში არ ჩანს მათი კანონით მემკვიდრეობა, მაგრამ ისინი მემკვიდრეებად გამოიწვევიან ანდერძების ძალით. ამდენად დასტურდება, რომ ისინი მემკვიდრეობაში წილს ღებულობენ, როცა აღარ არის კანონისმიერ მემკვიდრეთა პირველი და მეორე რიგი.¹⁴ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ქართული სამემკვიდრეო სამართლისგან განსხვავებით დღეს მოქმედ სამემკვიდრეო სამართალში მემკვიდრეთა წრის რიგითობის განსაზღვრით გაფართოებულია და უნდა ითქვას, რომ თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი.

საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების რეგულაციები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. მაგალითად განვიხილოთ გერმანიის სამემკვიდრეო სამართალი. გერმანიის სამოქალაქო სამართლის შემდეგი პარაგრაფები §1924(პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები), §1925(მეორე რიგის კანონით მემკვიდრეები), §1926(მესამე რიგის კანონით მემკვიდრეები), §1928(მეოთხე რიგის კანონით მემკვიდრეები), §1929(შემდგომი რიგები)¹⁵ არეგულირებენ კანონით განსაზღვრული მემკვიდრეების რიგითობას. პარალელი რომ გავავლოთ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან დავინახავთ, რომ ჩვენი კანონმდებლობა პირველი რიგის მემკვიდრეებს ჩამოთვლის - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის ცოცხლად დაბადებული შვილი, მეუღლე და მშობლები, ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი პირველი რიგის

¹⁴ ვალერიან მეტრეველი - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 386-387, 2003 წელი

¹⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>

მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან შთამომავლები. აქედან გამომდინარე ქართული სამართალი უფრო დეტალურად აღწერს პირველი რიგის მემკვიდრედ ყოფნის უფლების მქონე პირებს გერმანულისგან განსხვავებით, რადგან გერმანული კანონმდებლობის ჩანაწერი ზოგადია და შეიძლება ითქვას რომ განმარტებას საჭიროებს ტერმინი - „მამკვიდრებლის შთამომავალი“. ასევე უნდა აღინიშნოს ის საკითხიც, რომ ქართული სამართლისგან განსხვავებით მამკვიდრებლის მშობლები პირველი რიგის მემკვიდრეთა სიაში, არიან ხოლო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი მეორე რიგის მემკვიდრეთა სიაში. ასევე საინტერესოა ის საკითხიც, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხუთი რიგის მემკვიდრეებს, ხოლო გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემდეგი ჩანაწერია: „მეხუთე და შემდეგი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შორეული წინაპრები და მათი შთამომავლები.“ აქედან გამომდინარე გერმანიის სამართალი ჩანაწერს აკეთებს შემდგომ რიგზეც, თუმცა ბოჭავს ჩანაწერით, რომლითაც მემკვიდრედ ყოფნის უფლებას ანიჭებს შორეულ წინაპრებსა და მათ შთამომავლებს.

ოთხი რიგის კანონის მემკვიდრეებს გამოყოფს საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი პირველი რიგის მემკვიდრედ, გერმანული სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, სახელდებიან გარდაცვლილის შთამომავლები. ერთ შტოში (souche) მათ შორის ყველაზე ახლობელი გამორიცხავს ყველაზე შორეულს (მუხლი 1813, პ. 1, სამოქალაქო კოდექსი). შვილები იწინააღმდეგებენ თანაბარ წილებს. სამოქალაქო კოდექსის 1578 მუხლის თანახმად, ნაშვილები შვილის პოზიცია მშვილებლის მიმართ გათანაბრებულია კანონიერ შვილთან და გააჩნია სამკვიდრო უფლებები მშვილებელთან მიმართებაში. მეორე რიგში ერთად სახელდებიან გარდაცვლილის დედ-მამა, დები და ძმები, ისევე როგორც (აღრე)გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები. დედ-მამა და დები და ძმები იღებენ სამკვიდროს თანაბარ წილებს, (აღრე) გარდაცვლილი დების და ძმების შვილები და შვილიშვილები კი შტოების მიხედვით. (აღრე) გარდაცვლილი

დების და ძმების შვილები და შვილიშვილები გამორიცხავენ იმავე შტოს შვილიშვილებს (მუხლი 1814, სამოქალაქო კოდექსი). ხოლო მესამე რიგში სახელდებიან გარდაცვლილის ბებია პაპები, და მათ შთამომავლებს შორის შვილები და შვილიშვილები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში, ორივე ხაზის ბებია პაპები, ცოცხლები არიან, მხოლოდ ისინი არიან თანაბარი წილების მემკვიდრეები (მუხლი 1816, პ. 1, სამოქალაქო კოდექსი). რაც შეეხება მეოთხე რიგის მემკვიდრეებს საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით: მეოთხე რიგში სახელდებიან გარდაცვლილის დიდი ბებია პაპები. სამკვიდროს გახსნის მომენტში, ცოცხლად მყოფი დიდი ბებია პაპები თანაბარი წილების მემკვიდრეები არიან, მიუხედავად იმისა თუ ერთსა თუ სხვა და სხვა ხაზს მიეკუთვნებიან (მუხლი 1817, სამოქალაქო კოდექსი).¹⁶

აქვე უნდა აღინიშნოს ქართული, გერმანული და ბერძნული სამემკვიდრეო ურთიერთობის მსგავსება მემკვიდრედ მონვევის რიგითობასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლის მიხედვით, წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას. იგივე შინაარსი ფიგურირებს გერმანული სამოქალაქო კოდექსის §1930 (რიგების რიგითობა) პარაგრაფში - ნათესავი არ მონიშნავს სამკვიდროს მისაღებად, სანამ სახეზეა წინა რიგის ნათესავი. მსგავსი ჩანაწერია საბერძნეთის კანონმდებლობაშიც - არცერთი ნათესავი არ სახელდება მემკვიდრედ, ვიდრე არსებობს წინა რიგის დასახელებული ნათესავი (მუხლი 1819, სამოქალაქო კოდექსი).

3.2. ანდერძით მემკვიდრეობა

იურიდიულ ლიტერატურაში, ანდერძი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება-სურვილს, მითითებას ან დანაბარებს. ამ ტერმინის დამკვიდრებამდე, საქართველოში იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი

¹⁶ საბერძნეთის სამემკვიდრეო სამართალწარმოება, გვ.13-14,
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

„აღთქუმა.“ უმეტესად, მართალია, პირთა შორის შეთანხმებას ნიშნავდა, მაგრამ ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა. სამემკვიდრეო ურთიერთობათა ფართოდ განვითარებამ „ანდერძის“ საყოველთაოდ დამკვიდრება განაპირობა.¹⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი განსაზღვრავს ანდერძის ცნებას, რომლის მიხედვითაც „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.“ ცნებიდან ირკვევა, რომ ფიზიკურ პირს, როგორც მამკვიდრებელს აქვს შესაძლებლობა მის მთელი ქონება ან თუნდაც ქონების ნაწილი დაუტოვოს ერთ ან სურვილის შემთხვევაში რამოდენიმე პირს და მხედველობის მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საკითხი, რომლის მიხედვითაც ანდერძში მოხსენიების უფლებას კანონი ანიჭებს როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ასევე გარეშე პირებსაც. აღნიშნული ცნების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ, საკითხზე რომ მამკვიდრებელი ანდერძის შედგენის დროს სრულიად თავისუფალი უნდა იყოს და არავის არ აქვს უფლება რაიმე სახით ზეგავლენა მოახდინოს მამკვიდრებლის გადაწყვეტილებაზე.

ზემოთ მითითებულ ნორმაში, “გამოხატულია ანდერძის თავისუფლების პრინციპი. რაც გამოიხატება იმაში, რომ მამკვიდრებელს მემკვიდრეთა არჩევის უფლება აქვს. ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მონანდერძის) განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების განკარგვის შესახებ. ის ცალმხრივი გარიგებაა და მასში მხოლოდ მონანდერძის ნებაა გამოხატული. ანდერძის შესადგენად მემკვიდრის თანხმობა საჭირო არ არის.”¹⁸ სწორედ ანდერძის ცალმხრივი ბუნება ანიჭებს მამკვიდრებელს იმის, უფლებას რომ შეცვალოს ტექსტში მოყვანილი მონაცემები.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის §2064 (ანდერძის შედგენა პირადად) პარაგრაფის მიხედვით: „მამკვიდრებელს ანდერძის შედგენა შეუძლია პირადად.“

¹⁷ ეკატერინე ნანდოშვილი - ანდერძი და სამკვიდრო ქონება, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n3.pdf>

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ტომი მეხუთე, გვ.401, 2000 წელი

აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ცალსახაა რომ ანდერძის შემდგენი უნდა იყოს მხოლოდ მამკვიდრებელი, რაც გამორიცხავს სხვა პირის მიერ ანდერძის დაწერის შესაძლებლობას მამკვიდრებელის ქონებაზე. აღნიშნული შინაარსის ჩანაწერს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1346-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.“ ქართული კანონმდებლობა ხაზს უსვამს შემდგომ დანაწესს რომ არავის არ აქვს უფლება ანდერძი დაწეროს მამკვიდრებლის ქონებაზე, გარდა მოანდერძისა და ამასთანავე დასძენს იმასაც, რომ ანდერძის შედგენის უფლებამოსილება არ აქვს არც მოანდერძის წარმომადგენელს. აქედან გამომდინარე არც საქართველოს და არც გერმანიის კანონმდებლობა არ უშვებს შესაძლებლობას, რომ მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა.

სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის მიხედვით, მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. სრულწლოვანება თავისთავად არ ნიშნავს ქმედუნარიანობას. შეიძლება პირი სრულწლოვანი იყოს, მაგრამ ქმედუნარო. ამიტომ მას ანდერძის შედგენა არ შეუძლია. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით პირს 18 წლის ასაკში წარმოეშობა. მხოლოდ სრულწლოვანების პერიოდში აქვს პირს თავისი მოქმედების გონივრული განსჯისა და ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ამიტომ ანდერძის შედგენის მომენტში პირი ერთდროულად უნდა იყოს სრულწლოვანიც და ქმედუნარიანიც. პირმა შეიძლება ანდერძის შედგენის შემდეგ დაკარგოს ქმედუნარიანობა. ეს ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ მოახდენს. მაგრამ ქმედუნარიანი პირი, თუ ანდერძის შედგენის მომენტში ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან სულიერი განცდის პირობებში გონივრულად ვერ განსჯის და ნათლად ვერ გამოხატავს თავის ნებას, შეიძლება ანდერძის გაბათილების საკითხი დადგეს.¹⁹

¹⁹ ეკატერინე ნანდოშვილი - ანდერძი და სამკვიდრო ქონება, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n3.pdf>

ანდერძის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა, დაუშვებელია მეანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა, თუმცა კანონმდებლობა შეიცავს ისეთ ნორმას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ერთობლივი ანდერძი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1347-ე მუხლის მიხედვით: „ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება. მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ – ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში.“ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით ცალსახაა, რომ არ არის შესაძლებელი ერთობლივი ანდერძის შედგენა და ანდერძი თავისი ბუნებით მიმართულია მხოლოდ მამკვიდრებლის ნების გამოვლენისაკენ, თუმცა ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს რომ არსებობს ერთი გამონაკლისი, რასაც მეუღლეები ეწოდება. შესაბამისად, მეუღლეებს აქვთ შესაძლებლობა, რომ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი. საინტერესოა ის საკითხი, რომ ერთობლივი ანდერძის შედგენის შემთხვევაშიც კი დაცულია ნების თავისუფლება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთობლივი ანდერძის გაუქმებისთვის საკმარისია ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნა, მაგრამ ორივე მეუღლის სიცოცხლეა აუცილებელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის §2265 (ანდერძის შედგენა მეუღლეების მიერ) პარაგრაფის მიხედვით სწორედ ერთობლივი ანდერძის შემთხვევაა განსაზღვრული, რომელიც მეუღლეებს ანიჭებს ერთობლივი ანდერძის შედგენის უფლებას. პარაგრაფის შინაარსი კი შემდეგია: „ერთობლივი ანდერძი შეიძლება შედგენილი იქნეს მხოლოდ მეუღლეების მიერ.“ შესაბამისად, ერთობლივი ანდერძის შემთხვევაში იმპერატიული მოთხოვნა გვაქვს როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსში. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ ბერძნული სამართალი არ ითვალისწინებს ერთობლივი ანდერძის შემთხვევას (testament conjonctif) ; ერთი აქტი ვერ მოიცავს რამოდენიმე პირის მიერ შედგენილ ანდერძს (მუხლი 1717, სამოქალაქო კოდექსი)²⁰

²⁰ საბერძნეთის სამემკვიდრეო სამართალწარმოება, გვ.7,

ანდერძით მემკვიდრეობაზე საუბრისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ასევე მემკვიდრეზე გადასაცემი ქონების ოდენობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1348-ე მუხლის მიხედვით, მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს დანიშნულ მემკვიდრეთა წილი სამკვიდრო ქონებიდან ან მიუთითოს თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. მაგალითად, თუ მოანდერძეს აქვს საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა და ფულადი დანაზოგი და ჰყავს ანდერძით დანიშნული ორი მემკვიდრე – მას შეუძლია ერთს უანდერძოს მთელი ქონების 40%, მეორეს კი – 60%. ასევე შესაძლებელია ერთს დაუტოვოს საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორეს – ავტომანქანა და ფულადი დანაზოგი. მაგრამ, თუ ანდერძში არც წილია განსაზღვრული და არც კონკრეტულ ქონებაზეა მითითება, მაშინ მთელი სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. მოცემულ შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ღირებულებას დაემატება ფულადი დანაზოგის ოდენობა და შუაზე გაიყოფა.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი პირის წილია განსაზღვრული, დანარჩენისა კი არა. ამ დროს დანარჩენი მემკვიდრეები თანაბრად მიიღებენ წილით განსაზღვრულ ქონებას. მაგალითად, თუ მოანდერძემ სამკვიდროს ნახევარი უანდერძა შვილიშვილს, მაშინ მეორე ნახევარი თანაბრად განაწილდება ანდერძით მემკვიდრეებად დანიშნულ მეუღლესა და შვილს შორის.

თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული და ერთ-ერთი მემკვიდრისათვის განსაზღვრული ქონება მთელ სამკვიდროს მოიცავს, მაშინ ყველა ანდერძით მემკვიდრემ თანაბარი წილი უნდა მიიღოს ე. ი. ანდერძით ერთი მემკვიდრის მიმართ განსაზღვრული წილი მხედველობაში არ მიიღება და მთელი სამკვიდრო თანაბრად გაიყოფა ყველა მემკვიდრეს შორის.²¹

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

²¹ ეკატერინე ნანდოშვილი - ანდერძი და სამკვიდრო ქონება, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n3.pdf>

ანდერძით მემკვიდრეობაზე საუბრისას საინტერესოა მასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგება ქართულ მემკვიდრეობით სამართალში. ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით, ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება მისი ქონების ბედის შესახებ, თუ ვის უნდა მიკუთვნებოდა ეს ქონება. ქართულ მემკვიდრეობით სამართალში გამოკვეთილი იყო ანდერძის სუბიექტები ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლებოდა ყოფილიყო. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით, მოანდერძე ანუ სამკვიდროს დამტოვებელი უნდა ყოფილიყო 18 წლისა. ქალის, როგორც მოანდერძის ასაკი 12 წელი უნდა ყოფილიყო. ქალს, როგორც ჩანს ქორწინებიდან გამომდინარე ენიჭებოდა ქმედუნარიანობა. მოანდერძისთვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის, გარდა გარკვეული ასაკისა, აუცილებელი იყო მისი შერაცხადობა. სულიერი ავადმყოფობა განიხილებოდა, როგორც მოანდერძის უფლებაუნარიანობის შეზღუდავი ან გამომრიცხავი გარემოება. რაც შეეხება საკითხს, თუ ვის უნდა შეეღვინა ანდერძი - იგი შეიძლებოდა დაენერა თვით მოანდერძეს ან სხვა პირს. საბუთებიდან ირკვევა, რომ ანდერძს ძირითადად სასულიერო პირები ადგენდნენ. რაც შეეხება ანდერძის ფორმას იყო სიტყვიერი და ზეპირი. ასეთი ანდერძის შემთხვევაში საჭირო იყო მონმეები, რათა მათ აღედგინათ და გადმოეცათ მოანდერძის დანაბარები.²² დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, – თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ.

²² ვალერიან მეტრეველი - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გვ. 390-391, 2003 წელი

საბერძნეთში საანდერძო დებულებანი განწერილია სამოქალაქო კოდექსის 1716-1812 მუხლებში. სამოქალაქო კოდექსის 1712 მუხლის თანახმად, ანდერძის მიმართ მოქმედებს „mortis causa“-ს პრეზუმფცია (ძალაშია სიკვდილის შემთხვევაში). თავისუფლად გაუქმებადი (შეცვლადი), ცალმხრივი უკანასკნელი ნების დებულება. უკანასკნელი ნების დებულებანი თავისუფლად გაუქმებადია (შეცვლადი). კერძოდ, ნებისმიერი ანდერძი შესაძლოა გაუქმებულ (შეცვლილ) იქნას (მუხლი 1763, სამოქალაქო კოდექსი).

ანდერძის მეშვეობით შესაძლებელი ხდება პირის გარდაცვალების შემდეგ მოხდეს მისი მემკვიდრეობის და ზოგიერთი საოჯახო სამართლის საკითხის რეგულირება, მაგალითად, მშობლების ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების შვილებად ცნობა (მუხლი 1476, სამოქალაქო კოდექსი). დებულებანი მეანდერძის ქმედუნარიანობის (capacité) შესახებ სპეციალურ ხასიათს ატარებს (მუხლი 1719 და შემდგომი, სამოქალაქო კოდექსი) და ვრცელდება მიუხედავად წინააღმდეგობისა სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებთან, ქმედუნარიანობის შესახებ. ამ დებულებების თანახმად, ანდერძის შედგენა არ შეუძლიათ არასრულწლოვნებს, ანუ მათ ვისაც არ შეუსრულდა თვრამეტი წელი, და მათ ვისაც ეს აკრძალული აქვთ (interdits), ანუ მეურვეობის და მზრუნველობის (curatelle) ქვეშ მყოფ პირებს. (ანდერძის შედგენის) ქმედუნარო (personne incapable de tester) პირის მიერ შედგენილი ანდერძი ბათილია და შემდგომში ვერ ჩაითვლება ნამდვილად.²³

ანდერძის ფორმასთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ, რომ ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე. ჩანანერი „ან ამის გარეშე“ გულისხმობს, რომ სანოტარო წესით ანდერძის დადასტურება ყოველთვის არაა სავალდებულო. შესაძლებელია წერილობითი ანდერძის შედგენა სანოტარო დადასტურების გარეშეც. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მას შინაურული და დახურული ანდერძის სახეებით წარმოადგენს. შინაურული ეწოდება

²³ საბერძნეთის სამემკვიდრეო სამართალწარმოება, გვ.4-5,
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

ისეთ ანდერძს, რომელიც მოანდერძემ თავისი ხელით დაწერა და ხელიც თვითონვე მოაწერა. ასეთი ანდერძი ინახება მოანდერძესთან და მას სრული იურიდიული ძალა გააჩნია. შესაძლებელია აგრეთვე ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით შესანახად გადაეცეს ნოტარიუსს ან მასთან გათანაბრებულ პირს. კანონი ასეთი შემთხვევისათვის აწესებს ფორმალურ მოთხოვნას. გადაცემას უნდა ესწრებოდეს სამი მონმე და ისინი კონვერტზე ხელის მოწერით უნდა ადასტურებდნენ ამ ფაქტს. (სამოქალაქო კოდექსის 1364-1365 მუხლები) დახურულია ანდერძი, როცა იგი შედგენილია პირადად მოანდერძის მიერ და დადასტურებულია მონმეების მიერ მისი შინაარსის გაუცნობლად. (სამოქალაქო კოდექსის 1367 მუხლი) იგულისხმება, რომ მონმეები ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. კანონის ფორმალურ მოთხოვნა, რომ მონმეები ესწრებოდნენ ანდერძის მოანდერძის მიერ პირადად შედგენას, მაგრამ ანდერძის შინაარს არ გაუცნობიან, ასახული უნა იქნას დადასტურებისას. შინაურული ანდერძისგან განსხვავებით, მონმეები ანდერძის შედგენის ფაქტს ადასტურებენ.²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე ითვალისწინებს ანდერძის შედგენას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ბერძნული სამართლის მიხედვით არსებობს ანდერძის ჩვეულებრივი (ordinaire, commun) და სპეციალური (extraordinaire) ფორმები. ჩვეულებრივი ანდერძებია (commun), ხელნაწერი ანდერძი, ავთენტური ანდერძი და საიდუმლო (mystique) ანდერძი. სპეციალური ანდერძი (testament extraordinaire) არის გემზე შესრულებული ანდერძი (მუხლები 1749-1752, სამოქალაქო კოდექსი), ექსპედიციის დროს შესრულებული ანდერძი, ალყის დროს შესრულებული ანდერძი, ტყვეობაში შესრულებული ანდერძი (მუხლები 1753-1755, სამოქალაქო კოდექსი) და იზოლირებულ ადგილას შესრულებული ანდერძი, (მუხლი 1757, სამოქალაქო კოდექსი).²⁵ ხოლო რაც შეეხება გერმანულ სამოქალაქო კოდექსს აქ გვხვდება ჩვეულებრივი ანდერძი (§2231), საჯარო ანდერძი (§2232), საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი (§2247), გადაუდებელ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის

²⁴ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - მემკვიდრეობითი სამართალი, გვ.78-80, 2011 წელი

²⁵ საბერძნეთის სამემკვიდრეო სამართალწარმოება, გვ.4-5,

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtromuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

თავმჯდომარის წინაშე შედგენილი ანდერძი (§2249) და გადაუდებელ გარემოებებში სამი მოწმის წინაშე შედგენილი ანდერძი (§2250).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძთან დაკავშირებული ცნობების გამჟღავნება უნდა მოხდეს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ და როგორც წესი ამ უფლებით აღჭურვილია ნოტარიუსი. შესაბამისად, ისაა ვალდებული დანიშნოს დღე, მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები და მხოლოდ მათ გააცნოს ანდერძის შინაარსი.

4. მემკვიდრეობის მიღება

სამკვიდროს გახსნის მომენტში წარმოშობილი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსში შედის მემკვიდრის უფლება, მიიღოს სამკვიდრო ქონება ან უარი თქვას მის მიღებაზე და ნებისმიერი სხვა პირის ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისგან, რომლებიც ხელს უშლიან მემკვიდრეს ამ უფლების განხორციელებაში.

„სამკვიდროს მიღება ნიშნავს მემკვიდრედ მონოდებული პირის ნების გამოხატვას სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის შესახებ.“²⁶

„სამკვიდრო შეიძლება მიღებული იქნეს ორი საშუალებით: სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და სამკვიდროს ფაქტობრივად ფლობითა და მართვით. განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში. სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლია იმ მემკვიდრესაც, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობასა და მართვას.“²⁷

²⁶ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - მემკვიდრეობითი სამართალი, გვ.145, 2011 წელი

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მეხუთე ტომი, გვ.467, 2000 წელი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე.“ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამკვიდროს მიღების უფლებამოსილება აქვს მემკვიდრეს, რომელსაც ამ უფლებას ანიჭებს მამკვიდრებელი და სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია როგორც კანონით, ასევე ანდერძით მემკვიდრეობისას. აქვე უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ მემკვიდრე უნდა იყოს ქმედუნარიანი და არ უნდა არსებობდეს მის მიმართ კანონით განსაზღვრული შეზღუდვები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი: „თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.“ აღნიშნულ ჩანაწერზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ მემკვიდრეობის მიღებად ჩაითვლება ის შემთხვევაც, როდესაც მემკვიდრე უარს განაცხადებს სამკვიდროს მიღებაზე.

4.1.სამკვიდროს მიღების წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ აღგენს, რომ სამკვიდროს იღებს მემკვიდრე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი განსაზღვრულია მემკვიდრეობის მიღების წესი, რომლის მიხედვითაც: „მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.“ აღნიშნული ჩანაწერი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ყურადღება გავამახვილოთ სამკვიდროს მიღების შემდეგ წინაპირობებზე და ესენია: 1. განცხადების შეტანა სანოტარო ორგანოში და 2. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა. უფრო მეტი სიხსნადისთვის მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული შემთხვევა.

სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოს, რომ მემკვიდრე არის უფლებამოსილი განცხადება შეიტანოს სანოტარო ორგანოში. სანოტარო ორგანოში

შეტანილი განცხადება უნდა იყოს წერილობითი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნოტარიუსები სამემკვიდრეო საქმეთა საქმისწარმოების დროს ხელმძღვანელობენ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული აქტის მიხედვით კი განსაზღვრულია, რომ მემკვიდრეს შეუძლია განცხადება წარუდგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს, რომელმაც თან უნდა იქონიოს პირის გარდაცვალების მოწმობა, რადგან ეს არის განცხადების მიღების აუცილებელი პირობა, ხოლო ნოტარიუსი თავის მხრივ ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ მოახდინოს განცხადების რეგისტრაცია სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში.²⁸

შემდეგი წინაპირობა ეს არის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა და მართვა. ეს ნიშნავს, რომ მემკვიდრე მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლა ქონებას და მართავს. სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ „ქონების ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმ საცხოვრებელ სახლში, რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, ასევე მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავისთან გადატანა, სამკვიდროს გახსნის შემდეგ გადასახადების გადახდა, მამკვიდრებლის ქონების გაქირავებით მიღებული ქირა და სხვა.“²⁹

მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების აუცილებელი პირობაა სამკვიდროს გახსნა, რომელიც წარმოიშობა ისეთი იურიდიული ფაქტების დადგომით, როგორც არის პირის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება. აღნიშნული იურიდიული ფაქტები განაპირობებენ მემკვიდრის უფლებას მიიღონ სამკვიდრო ქონება ან უარი თქვან მასზე. მამკვიდრებლის სიცოცხლეში მის ქონებაზე მემკვიდრეებს არა აქვთ უფლება აუკრძალონ მას ამ

²⁸ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანება, 78-ე მუხლი

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეხუთე ტომი, გვ.468, 2000 წელი

ქონების განკარგვა, კერძოდ, განზრახ ხელი შეუშალონ მამკვიდრებელს ანდერძში გამოხატოს ნება ამ ქონების იურიდიული ბედის გადაწყვეტის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების კანონისმიერ და ანდერძისმიერ საფუძვლებს. ამიტომ, მხოლოდ სამკვიდროს გახსნა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეები გახდებიან იმ ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეები, რომლის მონაწილეც იყო გარდაცვლილი მამკვიდრებელი.

იმისათვის, რომ მამკვიდრებლის ქონებაზე მემკვიდრეს წარმოეშვას ქონებრივი უფლებები საჭიროა: 1) პირი არ იყოს ცნობილი უღირს მემკვიდრედ; 2) გამოხატოს ნება სამკვიდროს მიღების თაობაზე.³⁰

პირის უღირს მემკვიდრედ აღიარებისათვის კანონმდებლობით გაწერილია ის ქმედებები, რომელიც მემკვიდრის მიერ არის ჩადენილი და უნდა იყოს აღიარებული სასამართლოს მიერ. უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსი ასევე განმარტავს: „თუ პირი სასამართლოს მიერ უღირს მემკვიდრედ იქნება ცნობილი სამკვიდროს მიღების შემდეგ, ის მოვალეა დააბრუნოს ყველაფერი, რაც მემკვიდრეობით მიიღო ნაყოფსა და შემოსავალთან ერთად.“³¹ მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონების ფლობისა და მართვისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მემკვიდრე სასამართლოს მიერ არ იყოს აღიარებული უღირს მემკვიდრედ. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ გარემოებაზე, რომელიც ადგენს რომ თუ სასამართლომ მემკვიდრე მიიჩნია უღირსად მას შემდეგ რაც იგი მიიღებს სამკვიდროს, ჩნდება ვალდებულება რომ დაბრუნებული იქნეს მიღებული ნაყოფი და შემოსავალთან ერთად. შესაბამისად, სასამართლოს მიერ უღირს მემკვიდრედ აღიარება პირს ართმევს უფლებას წარმოეშვას მამკვიდრებლის ქონებაზე ქონებრივი უფლებები. აქედან გამომდინარე კიდევ ერთი წინაპირობა მემკვიდრეობის მიღებისა არის ის რომ პირი არ იყოს ცნობილი უღირს მემკვიდრედ.

³⁰ ეკატერინე ნინუა - სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #2/18, 2018 წელი

³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1316

შემდეგი წინაპირობა, რომელიც დაკავშირებულია მემკვიდრეობის მიღებასთან ეს არის ნების გამოხატვა სამკვიდროს მიღების თაობაზე. სამკვიდროს მიღება ნებაყოფლობითი აქტია და ნების გამოხატვის გარეშე მემკვიდრეს არ შეუძლია მიიღოს სამკვიდრო. სამკვიდროს მიღება, როგორც ცალმხირივი გარიგება წარმოადგენს მემკვიდრის უფლებას და არა ვალდებულებას გამოხატოს ნება სამკვიდროს მიღების შესახებ. სწორედ ამ უფლების რეალიზაციისათვის მემკვიდრის სურვილს, ნების გამოხატვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სამკვიდროს მიღების შემთხვევაში.³² ჩემი აზრით, მემკვიდრის ნების გამოვლენა არსებითი და აუცილებელი წინაპირობაა მემკვიდრეობის მიღებისათვის. თუმცა ისიც არ უნდა დაგვაინწყდეს რომ ეს წინაპირობა გამოხატო ნება არ უნდა იქნეს გაგებული ერთი მიმართულებით და არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ სამკვიდროს მიღებისაკენ. პირიქით, მემკვიდრის მიერ გამოხატული ნება შესაძლოა ატარებდეს ორ ხასიათს: მიიღოს, ფლობდეს და მართავდეს მამკვიდრებლის მიერ დატოვებულ სამკვიდროს ქონებას, მას ასევე აქვს უფლება რომ უარი თქვას მამკვიდრებლის როგორც კანონიერ ასევე ანდერძისმიერ მემკვიდრედ ყოფნაზე.

სამკვიდროს მიღების წინაპირობებზე საუბრისას ჩვენი ყურადღება აუცილებლად უნდა მიიპყროს სამკვიდროს გახსნის თემამ, რადგან მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა არის სამკვიდროს გახსნა. სამოქალაქო კოდექსში ვკითხულობთ, რომ სამკვიდროს გახსნა უკავშირდება მამკვიდრებლის გარდაცვალებას ან სასამართლოს მიერ მის გარდაცვლილად გამოცხადებას. აქედან გამომდინარეობს, რომ სამკვიდროს გახსნა მემკვიდრეობის მიღების აუცილებელი წინაპირობაა და ამ პირობის გარეშე შეუძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე საუბარი. სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლში ვკითხულობთ სამკვიდროს გახსნის დროის შესახებ და გვაქვს მითითება, რომ სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან

³² ეკატერინე ნინუა - სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი #2/18, 2018 წელი

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალება და გარდაცვლილად გამოცხადება სამემკვიდრეო ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობებია.

ჩვენ მიმოვიხილეთ სამკვიდროს მიღების პირობები და აღვნიშნეთ, რომ სამკვიდროს მიღებას გააჩნია შემდეგი წინაპირობები: 1. მამკვიდრებლის გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება, რომელიც უკავშირდება სამკვიდროს გახსნას; 2. სანოტარო ორგანოში მემკვიდრის მიერ განცხადების შეტანა; 3. მემკვიდრეების მიერ სამკვიდრო ქონების თაქტობრივი ფლობა ან მართვა; 4. მემკვიდრე არ უნდა იყოს აღიარებული უღირს მემკვიდრედ; 5. მემკვიდრემ უნდა გამოხატოს ნება სამკვიდროს მიღების თაობაზე. აღნიშნული წინაპირობები სამემკვიდრეო სამართლებრივი ურთიერთობის ის ძირითადი თავისებურებებია, რომლის გარეშეც შეიძლება ითქვას, ვერ განხორციელდება სამემკვიდრეო სამართალწარმოება რომ მემკვიდრეებმა შეძლონ მიიღონ მამკვიდრებლის მიერ დატოვებული არამხოლოდ ქონებრივი უფლებები.

4.2.სამკვიდროს მიღების ვადა

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს დროს, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გამოთქვას სურვილი მიიღოს მამკვიდრებლის დანატოვარი ანუ სამკვიდრო. 1424-ე მუხლის მიხედვით: „სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.“ ამ ჩანაწერით განსაზღვრული ვადით ირკვევა, რომ მემკვიდრეს სამკვიდროს მისაღებად საჭირო მოქმედებების განხორციელება წარმოემობა სამკვიდროს გახსნიდან, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკავშირდება პირის გარდაცვალებას ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებას და უნდა შესრულდეს ექვსი თვის განმავლობაში.

ქართული კანონმდებლობა როგორც აღვნიშნეთ გარკვეულ ვადას ადგენს მემკვიდრეობის მისაღებად, ეს ვადა წარმოადგენს ექვს თვეს სამკვიდროს გახსნის დღიდან. თუმცა აქ ყურადღება უნდა შევაჩეროთ იმაზე, რომ მემკვიდრემ უნდა გამოთქვას სურვილი, გამოავლინოს ნება, რომ მას ნამდვილად სურს მამკვიდრებლის სამკვიდრო. მემკვიდრის სურვილში არ მოიაზრება მხოლოდ დადებითი გადანწყვეტილება ანუ მიიღოს სამკვიდრო, არამედ მოიაზრება მემკვიდრის უარიც. შესაბამისად, მემკვიდრეს კანონმდებლობა ანიჭებს ორ უფლებამოსილებას მიიღოს სამკვიდრო და გააგრძელოს მისი მართვა ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე და ამოქმედდეს კანონმდებლობით შესაბამისი ნორმები.

სამკვიდროს მიღების ვადასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ კანონით განსაზღვრული ექვს თვიანი ვადა, ჩემი აზრით, არის გონივრული და სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ მემკვიდრემ შეძლოს სამკვიდროს მიღება და შეუდგეს მის ფლობას. გარდა ამისა, კანონმდებლობა სხვა შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს. მაგალითად, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, დათმოს სხვა პირის სასარგებლოდ სამკვიდროდან მისი კუთვნილი წილი.

სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილ გონივრულ ვადასთან ერთად კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ვადას და ვადის გაგრძელებას სამკვიდროს მისაღებად. სპეციალური ვადის შესახებ მიმდინარე თავში გავამახვილებ ყურადღებას, რადგან მიმაჩნია, რომ საკმაოდ საინტერესო საკითხია, ხოლო სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ მომდევნო თავში გვეყენება საუბარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1425-ე მუხლის მიხედვით არის მონესრიგებული სამკვიდროს მიღების სპეციალური ვადა, რომლის მიხედვით: “თუ სამკვიდროს მიღების უფლება იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როცა სხვა მემკვიდრეები სამკვიდროს არ მიიღებენ, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში, ხოლო, თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, – გაგრძელებულ იქნეს სამ თვემდე.” აღნიშნული მუხლი აქცენტს

აკეთებს იმ შემთხვევაზე, როდესაც სხვა მემკვიდრეები არ მიიღებენ სამკვიდროს. კანონის ჩანაწერიდან სწორედ რომ საინტერესოა თუ ვის თვლის კანონმდებელი სხვა მემკვიდრეებად, რადგან ჩვენ წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, რომ კანონით მემკვიდრეობისას ხუთი რიგის მემკვიდრეები გვყავს. მიმაჩნია, რომ კანონმდებელი სხვა მემკვიდრეებში მოიაზრებს მემკვიდრეებს იმ პირთა წრიდან, რომლებიც წარმოადგენენ მეორე, მესამე, მეოთხე ან მეხუთე რიგის მემკვიდრეებს, რადგან მათთვის მემკვიდრის უფლების წარმოშობა არ უკავშირდება სამკვიდროს გახსნას, არამედ ეს უფლება წარმოიშობა ცოტა მოგვიანებით. ცოტა მოგვიანებით პერიოდში კანონმდებელი გულისხმობს იმას, რომ წინა რიგის მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო. წინა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადგენასა და სამკვიდროს მიღებისთვის დადგენილ ექვსთვიან ვადას აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში, რადგან სამკვიდროს მიღება მომდევნო რიგის მემკვიდრის მიერ უნდა მოხდეს სწორედ დარჩენილ ვადაში. თუმცა კიდევ ერთი ნიუანსია კანონმდებლობით განსაზღვრული, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ მომდევნო რიგის მემკვიდრეს სამ თვეზე ნაკლები პერიოდი აქვს დარჩენილი სამკვიდროს მიღების ვადა უნდა გაგრძელდეს კიდევ სამი თვით. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ ჩემი აზრით ამ ვადის გაგრძელებას უზრუნველყოფს ნოტარიუსი, რადგან კანონმდებლობით პირდაპირ არ გვაქვს მითითება, რომ ამ სპეციალური ვადის გაგრძელების შემთხვევაში უნდა მივმართოთ სასამართლოს და ის იქნება უფლებამოსილი ვადის გაგრძელებაზე. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ ეს უფლებამოსილება აქვს ნოტარიუსს, რომელთანაც შედის განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ.

რომ შევაჯამოთ სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადა შეადგენს სამკვიდროს გახსნიდან ექვს თვეს, რომელიც პირდაპირაა კანონმდებლობით განსაზღვრული, ხოლო რაც შეეხება სამკვიდროს მიღების სპეციალური ვადა, ეს არის ვადა რომელიც მემკვიდრისთვის წარმოიშობა არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, როგორც ეს ჩვეულებრივ სამკვიდროს მიღების დროს ხდება, არამედ ცოტა მოგვიანებით.

4.3.სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

წინა თავში ჩვენ საუბარი გვქონდა სამკვიდროს მიღების ვადაზე, რომლის მიხედვითაც სამკვიდრო მიღებული უნდა იყოს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუმცა ყურადღება არ გავგვიმახვილებია ისეთ გარემოებაზე, რომელიც განმარტავდა საკითხს: - არის თუ არა შესაძლებელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ვადის გაგრძელება შესაძლებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად წინამდებარე თავში გვექნება საუბარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი საუბრობს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებაზე. მითითებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე.“ აღნიშნული მუხლის ირგვლივ საუბრისას უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადა საპატიო მიზეზების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ. აქედან გამომდინარე ვადის გაგრძელებას უნდა ქონდეს შემდეგი წინაპირობა და ესაა საპატიო მიზეზი. კანონმდებლობის მიხედვით არ გვხვდება განმარტება თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, თუმცა მითითება იმაზე, რომ ვადის გაგრძელებაზე გადანყვეტილებას მიიღებს სასამართლო ნიშნავს იმას, რომ სწორედ ეს დანესებულება არის უფლებამოსილი ყოველი შემთხვევის დროს დაადგინოს იმ საპატიო მიზეზების შესახებ, რომელიც სამკვიდროს დადგენილ ვადაში მიუღებლობას მოჰყვა. ვადის გაგრძელებაზე საუბრისასა ყურადღება უნდა გავამახვილოთ ასევე მოცემული მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებაზე,

რომელიც საუბრობს სამკვიდროს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე მიღების შესაძლებლობაზე. ასეთ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა ყველა მემკვიდრის თანხმობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით (საქმე #177-167-2011). აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას იმ საფუძველით, მან კანონით დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ მიიღო სამკვიდრო. ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, თ.მ-შილმა საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო სამკვიდროს მიღება კანონით დადგენილ ვადაში, რაც საფუძველია იმისა, რომ გაუგრძელოს სამკვიდროს მიღების ვადა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით სამკვიდროს მიღების უფლების ვადაში განუხილველობისას გადამწყვეტი უნდა იყოს ვადის გაშვების საპატიობა სამკვიდროს გახსნიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მიუხედავად შემდგომში უფრო ხანგრძლივი ვადაგადაცილებისა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ასეთი სახის განმარტება არ გამომდინარეობს სამართლებრივი ნორმების განმარტებიდან და განმარტავს: სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს, თუ ვადის გადაცილების მიზეზი საპატიოდ იქნება მიჩნეული. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლოს შეფასების საგანია ვადის გადაცილების მიზეზის საპატიობა, რაც გულისხმობს იმ ვადის საპატიობის შეფასებას, რითაც გადაცილებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თვით ტერმინის „ვადაგადაცილების“ განმარტებიდან. მითითებული ტერმინი გულისხმობს არა რაიმე ვადაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდგომ პერიოდშიც არსებულ მდგომარეობას. ანუ ეს ეხება არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვს თვეს, არამედ იმ პერიოდსაც ვიდრე მხარემ მიმართა სათანადო ორგანოებს სამკვიდროს მიღების

მოთხოვნით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ნაცვლად ექვსი თვისა სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ღონისძიებები გამოიყენა თითქმის ათი წლის შემდეგ ანუ მოსარჩელემ 9-10 წლით გადააცილა სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებულ ვადა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოება მიიჩნია საპატიოდ, რაც განაპირობა ამ ნორმის არასწორმა განმარტებამ, რამაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. შესაბამისად, არასწორად განისაზღვრა იმ დასადგენ ფაქტობრივ გარემოებათა წრე, რომლის შესაბამისადაც შიძლება მიღებული იქნეს გადაწყვეტილება. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა არასწორად იქნა განმარტებული სასამართლოს მიერ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმის დასადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანონით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არამედ ამ ვადის საპატიობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას.³³

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საპატიო მიზეზად არ მიიჩნია და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს მემკვიდრის პატიმრობაში ყოფნას. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილადაა მიჩნეული და კასატორს სადაოდ არ გაუხდის ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 06 იანვარს, მოსარჩელე პატიმრობაში იმყოფებოდა 2013 წლის 09 იანვრიდან 2014 წლის 30 იანვრამდე. დადგენილია, რომ მოსარჩელემ სამკვიდრო მონაწილის მიღების შესახებ განცხადებით ნოტარიუსს მიმართა 2014 წლის 10 აპრილს. (სსსკ-ის 407.2 მუხლი)

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მნიშვნელოვანი განმარტება (საქმე#177-167-2011), <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba18.pdf>

დადგენილია ისიც, რომ მოსარჩელემ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ადვოკატის მეშვეობით, 2013 წლის 28 იანვარს ანუ დაპატიმრებიდან 20 დღეში, განაახლა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე და #5 ქალთა პატიმრობის, სანახევროდ ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე გაასხვისა მისი კუთვნილი უძრავი ნივთი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1423-ე მუხლი ითვალისწინებს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. სსსკ-ის 96.1 ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მარწმუნებელი მუშაობს ან სწავლობს, იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობა სამხედრო მოსამსახურემ გასცა. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ გაცემულ მინდობილობას ამოწმებს ამ დაწესებულების დირექტორი .

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მოხმობილ ნორმათა იურიდიული კონსტრუქციები საკასაციო პალატას აძლევს იმის შეფასების საფუძველს, რომ პატიმრობის მიუხედავად, მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა წარმომადგენლის მეშვეობით მიემართა განცხადებით ნოტარიუსისათვის (სსკ-ის 1423-ე მუხლი).³⁴

2015 წლის 15 დეკემბრის #ას-655-621-2015 გადაწყვეტილების მიხედვით საინტერესოა სამივე ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლომ საპატიოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მიერ

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1101-1021-2017, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება, კერძოდ, მეორე მოსარჩელის შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის - სიბრმავის გათვალისწინებით, ხოლო პირველი მოსარჩელის შემთხვევაში, 2008 წლიდან დავის დაწყებამდე მისი საქართველოში არყოფნის მხედველობაში მიღებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. საკასაციო სასამართლო კი განმარტავს, კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარად დაადგენს ვადის გადაცილების საპატიოობას. ამ უკანასკნელის განსაზღვრის კრიტერიუმები ყოველი შემთხვევის თავისებურებითა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, როგორც წესი, საპატიოობას ორი მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გააჩნდეს: ა) თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება ცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე და ბ) თუ მემკვიდრემ ვადა გაუშვა ისეთი გარემოების გამო, რომელიც მას ობიექტურად არ აძლევდა საშუალებას, მიეღო სამკვიდრო დადგენილ ვადაში და მხოლოდ ამ დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ შეძლო მან სასამართლოსათვის მიმართვა. საინტერესოა ის საკითხიც, რომ საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოტივი. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: საკასაციო პალატა იზიარებს კასაციის მოტივს და მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელების მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოობის შესახებ დაუსაბუთებელია, კერძოდ, ორივე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ. ის მიზეზი, რომ პირველი მოსარჩელე 2008 წლიდან დღემდე შრომით მიგრაციაშია, ხოლო მეორე მოსარჩელე უსინათლოა, არსებობდა სამკვიდროს გახსნამდე და არცერთი ეს გარემოება დღემდე არ აღმოფხვრილა.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია, თუ რა უშლიდათ ხელს მოსარჩელებს ექვსთვიან ვადაში მიეღოთ სამკვიდრო იმ წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც მათ 2013 წლის 25 დეკემბერსა და 2014 წლის 13 იანვარს (ამ დროისათვის ექვსთვიანი ვადა უკვე გასული იყო, რადგანაც მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2013 წლის 22 ივნისს) მიანიჭეს მათი სახელით მოქმედების უფლებამოსილება სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით.³⁵

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნეს მოყვანილი ის შემთხვევა, რომლის მიხედვითაც სასამართლომ გააგრძელა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა. ამისათვის უნდა განვიხილოთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №ას-1224-1076-2010 საქმეზე. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სასამართლომ საპატიო მიზეზად მიიჩნია არასრულწლოვანებისა და სრულწლოვანობის მიღწევიდან სასამართლოსთვის მიმართვის პერიოდი. კასატორის მოთხოვნა იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომელმაც გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და არ მიიჩნია სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება საპატიოდ. დავის საგანს ცხადია, რომ წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება და ქონების საკუთრებაში გადაცემა. კასატორმა შეძლო და დაასაბუთა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების დროს იყო არასრულწლოვანი, სრულწლოვანი გახდა 2008 წელს, დედა იყო ფსიქიკურად დაავადებული, მეორე ჯგუფის ინვალიდი, არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები, არის სტუდენტი და არ ჰქონდა შესაბამისი თანხა, რომ სახელმწიფო ბაჟი გადაეხადა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: “საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ.ბ-ავას სამკვიდროს გახსნის

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-655-621-2015, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

მომენტიდან ექვს თვის ვადაში საპატიო გარემოების - არასრულწლოვნობისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, არ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე მემკვიდრეობის მიღების ხელშემშლელი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულწლოვანების ასაკს მიღწევის შემდეგაც.“ სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე, რომ მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო იცოდა სხვა მემკვიდრის არსებობის შესახებ, თუმცა სხვა მემკვიდრეების ვინაობის შესახებ სანოტარო ორგანოში მემკვიდრეობის უფლების დადგენისას არ განუცხადებია, რითაც დაარღვია ვალდებულება ნოტარიუსისათვის სხვა მემკვიდრეებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ.³⁶

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ კანონმდებელი საპატიობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს და შესაბამისი მუხლით არ განამტკიცებს, პირიქით საპატიო მიზეზი შეფასებითია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს.

4.4.სამკვიდროს მიღებისას შედავების ვადა

ქართული კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას და განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების შედავების ვადას. სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.³⁷ აღნიშნული უფლების წარმოშობას, ვგულისხმობს შედავების უფლებას, წინ უნდა უსწრებდეს სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმის ფაქტი, ამ ფაქტის არსებობის გარეშე ადვილი მისახვედრია, რომ ამ უფლების არსებობა არ არის მიზანშეწონილი. ფაქტის დადგომის შემდეგ კი დაინტერესებულ პირს წარმოემა იმის უფლება, რომ სამკვიდროს მიღების ან მასზე უარი თქმა გახადოს სადავო. დაინტერესებულ პირის

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის #ას-1224-1076-2010 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1450

ირგვლივ კანონმდებელი გულისხმობს სხვა მემკვიდრეებს, მათ ნათესავებს, მეურვეებს, მზრუნველებს და აშ. შედავებისათვის კანონმდებელი კონკრეტულ ვადასაც ასახელებს და ამ ვადის ათვლა იმ დღიდან იწყება, როდესაც დაინტერესებულმა პირმა შეიტყო სათანადო საფუძვლის შესახებ. ეს ვადა კი არის შეტყობის დღიდან ორი თვე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ ტერმინზე - „სათანადო საფუძველი“, რომელიც ხდება შემდგომში უკვე შედავების მიზეზი. თუ შედავებისთვის არ იარსებებს სათანადო საფუძველი, არც დავის განხორციელება არ იქნება მიზანშეწონილი. მაგალითად ერთ-ერთი შედავების საფუძველი შეიძლება იყოს მემკვიდრის მონაცემების დამალვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება³⁸, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხეებთან ერთად 2010 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეა. მოპასუხეებმა დამალეს სხვა პირველი რიგის მემკვიდრის - მოსარჩელის არსებობა, მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე. პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ გაიზიარეს მოსარჩელის პოზიცია და შესაბამისად არც დაკმაყოფილმა მოსარჩელის მოთხოვნა ცნობილ ყოფილიყო მემკვიდრედ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც უზენაესი სასამართლოს მიერ მოხდა გადაწყვეტილების გაუქმება, პირიქით ის სასამართლოს მიერ უცვლელად იქნა დატოვებული და არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება. გადაწყვეტილებაში კი ვკითხულობთ: პალატა უარყოფს კასატორის პოზიციას სამკვიდროს მიღების შედავების ვადის გაშვების თაობაზე გასაჩივრებული განჩინების შეუსაბამობაზე ერთგვაროვან პრაქტიკასთან და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება ასევე დასაბუთებულია. პალატის ეს დასკვნა ემყარება შემდეგს: ქვემდგომმა სასამართლოებმა საყვებით მართებულად შეათვალეს სარჩელში მითითებული გარემოება - პრეტენზიის წარდგენამდე (სარჩელის აღძვრამდე) სამი თვით ადრე სამკვიდროს მიღების ფაქტის

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის #ას-1114-1071-2016
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

შეტყობა აღიარებად (სსსკ-ის 131-ე მუხლი), რომელიც გაქარწყლებული არ არის, შესაბამისად, ეს ფაქტი მონიშნავს სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით განსაზღვრული შეცილების ვადის მოსარჩელის მხრიდან დარღვევას (სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი). სათანადო საფუძვლის არსებობას სასამართლოში დავის წამოწყების დასაბუთება უნდა, რათა მოხდეს სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმის საფუძვლების გაბათილება. ასევე არ უნდა დაგვაგინდეს ის გარემოებაც, რომ სადავო საკითხის შესახებ სასამართლოსთვის მიმართვის ვადა უნდა იყოს ორ თვიანი შეტყობინების დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა შეიძლება ითქვას, რომ აზრს კარგავს.

5. მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმა

მემკვიდრეს აქვს სამკვიდროს არა მარტო მიღების, არამედ მიღებაზე უარის თქმის უფლება. აქედან გამომდინარე მემკვიდრეს უფლება აქვს მემკვიდრეობა მიიღოს ან უარი თქვას მასზე. მემკვიდრეობის მიღების შესახებ, მასთან დაკავშირებულ ვადებთან და სასამართლოს მიერ მიღებულ გადწყვეტილებებზე ჩვენ წინა თავში უკვე გვქონდა საუბარი. ამ თავში კი უნდა განვიხილოთ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმა.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიმართავს სანოტარო ორგანოს განცხადებით. განცხადების შეტანის შემდეგ აქვს თუ არა მემკვიდრე უფლებამოსილება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, ამაზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: “არ დაიშვება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს ან სამკვიდრო მონუმენტის მიღების შესახებ.” კანონმდებლობის ჩანაწერიდან ვკითხულობთ, რომ მემკვიდრე სამკვიდროს მიღებაზე უარს ვეღარ განაცხადებს თუ მის მიერ სანოტარო ორგანოში შეტანილია განცხადება სამკვიდროს მიღების ან

სამკვიდრო მონუმობის მიღების მოთხოვნით. აღნიშნული ჩანაწერი ლოგიკურიცაა, რადგან როგორც აღვნიშნეთ სამკვიდროს მიღება ეს არის ცალმხრივი გარიგება და ნების გამოხატვის შემდეგ მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება შეუძლებელია.

5.1.სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434 მუხლის მიხედვით: „მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მონვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში“. აღნიშნული მუხლის მიხედვით მემკვიდრეს აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მემკვიდრეს კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც კანონით, ასევე ანდერძით.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისთვის გათვალისწინებულია სამი თვე. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს სამი თვის ვადა აითვლება იქედან, როდესაც მონვევის შესახებ მიიღებს მემკვიდრე ინფორმაცია. აქვე პარალელი უნდა გავალოთ სამკვიდროს მიღების ვადასთან, რომელიც ათვლას იწყებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

ყურადღება ასევე უნდა გამახვილდეს მუხლის ჩანაწერში აღნიშნულ საპატიო მიზეზთან დაკავშირებით, რომელიც ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი და შესაბამისად სასამართლო უზრუნველყოფს ამ ვადის გაგრძელებასაც.

საინტერესოა ასევე მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც მემკვიდრის უარი სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში.

შესაბამისად, მემკვიდრეს უწევს მისი უარი სამკვიდროს მიღებაზე დაადასტუროს ნოტარიუსის მიერ.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის #ას-380-380-2018³⁹ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად შეათვასა მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ განცხადება. ნოტარიუსმა არასწორად გაათვორმა აღნიშნული განცხადება. მისი გაფორმების მომენტისათვის გასული იყო სსკ-ის 1434-ე მუხლით დადგენილი, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის 3-თვიანი ვადა. ამასთან, თუ მემკვიდრე უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, ე.ი მას სამკვიდრო მიღებული აქვს და მემკვიდრეობის მიღების ფაქტი სადავოს აღარ წარმოადგენს.“ სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ეს ამონარიდი ასახავს კასატორის მოსაზრებას. თუმცა გადაწყვეტილებით ვხვდებით, რომ სასამართლომ მისი ეს მოსაზრება არ გაიზიარა. პირიქით მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ სადავო განცხადების შინაარსის შეფასებას და მიიჩნევს, რომ კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ დაუპირისპირა გასაჩივრებულ განჩინებაში არსებულ მსჯელობას, რომ მოსარჩელემ სადავო განცხადებით სამკვიდროს მიღებაზე უარი კი არ განაცხადა, არამედ დაადასტურა, რომ მას მამის სამკვიდრო არ მიუღია და მის მიღებას არც მომავალში აპირებდა. აღნიშნული შინაარსის მქონე ნების გამოვლენას კი კანონი არ კრძალავს.

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 19 მაისის #ას-38-347-04⁴⁰ გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმას მაშინაც აქვს ადგილი, როცა მემკვიდრე პირდაპირ ან ირიბად კანონით დადგენილ ვადაში არ

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-380-380-2018, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-38-347-04, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

გამოთქვამს თავის სურვილს მემკვიდრეობის მიღებაზე. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ე.ჩ.მ კანონით დადგენილ ვადაში არ პირდაპირ და არც ირიბად არ გამოხატა სურვილი მემკვიდრეობის მიღების შესახებ და საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც დაადასტურა თავისი სურვილი მემკვიდრეობაზე უარის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მისი უარი სწორად მიიჩნია ნამდვილად, ვინაიდან მემკვიდრეობაზე უარი როგორი ხერხითაც არ უნდა განხორციელდეს იგი წყვეტს მემკვიდრეობის მიღების უფლებას და არ იძლევა სხვა პირთა სასარგებლოდ უარის თქმის საფუძველს.

5.2 უარის თქმა სამკვიდროს ნაწილზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის მიხედვით საუბარია სამკვიდროს ნაწილობრივ მიღების დაუშვებლობაზე. აღნიშნული მუხლი აერთიანებს ორ ნაწილს, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით: „არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით.“ ჩემი აზრით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილი საუბრობს როგორც სამკვიდროს ნაწილობრივ მიღების დაუშვებლობაზე, ასევე მასზე ნაწილობრივ უარის თქმაზე. მუხლის სათაური მართალია ჩამოყალიბებულია ისე თითქოს დაუშვებლობა ეხებოდეს მხოლოდ სამკვიდროს მიღებას, თუმცა პირველი ნაწილის გაცნობისას მივხვდებით, რომ ეს მუხლი ასევე ეხება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას. გარდა ამისა კანონმდებლობით გამოირიცხება რაიმე სახის დათქმა ან ვადა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოცემული მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე.“

კოდექსის კომენტარებში ვკითხულობთ: „მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო (როგორც აქტივი, ისე პასივი) ან მთლიანად უარი თქვას მასზე. თუ მემკვიდრე სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას დაუკავშირებს რაიმე პირობას, მაშინ ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე. მაგალითად,

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად ჩაითვლება, თუ მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე იმ პირობით, რომ დანარჩენი მემკვიდრეები გადაუხდიან განსაზღვრულ თანხას, ანდა უარს ამბობს ანდერძით სამკვიდროს მიღებაზე იმ პირობით, თუ კანონით მიიღებს მემკვიდრეობას და სხვა.⁴¹

კანონის დანაწესის მიხედვით ცალსახაა, რომ არ დაიშვება სამკვიდროს მიღებისა და მასზე უარის თქმისათვის არსებობდეს რაიმე დათქმა ან განსაზღვრულ იქნეს რაიმე კონკრეტული ვადა. მემკვიდრის უფლებამოსილება არის მიიღოს და დაემორჩილოს მემკვიდრეობის ნება-სურვილს. სამემკვიდრეო-ურთიერთობაში დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მემკვიდრე მიიღებს სხვა მემკვიდრეებისგან ქონების საფასურს დაუშვებელია.

ამ საკითხზე მსჯელობასთან დაკავშირებით განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 04 ოქტომბრის №ას-578-544-2010 გადაწყვეტილება. დავის საგანს წარმოადგენდა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა. გადაწყვეტილების მიხედვით, მემკვიდრეობის გარდაიცვალა 2007 წლის 23 ივნისს. მას პირველი რიგის მემკვიდრე არ დარჩენია და შესაბამისად მემკვიდრეობა განაწილდა მოსარჩელესა და მის დას - ნ.ჯ-შვილს შორის. მოსარჩელე ასევე განმარტავს, რომ მას მისი დისშვილი სთხოვდა მემკვიდრეობაზე უარის თქმას. სარჩელში ასევე მითითებულია, რომ მოსარჩელის დარწმუნებას ასევე ცდილობდნენ მისი დეიდაშვილები, იმ პირობით, რომ მემკვიდრეობაზე უარის თქმის სანაცვლოდ ახმეტის რაიონის სოფელ მატანში მდებარედ მამისეულ ბინას მისცემდნენ. 2007 წლის 4 აგვისტოს მოსარჩელემ ნოტარიუსთან უარი თქვა მემკვიდრეობის მიღებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, სააპელაციომ განიხილა და უკან დაუბრუნა პირველ ინსტანციას, რომლის მიხედვითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუსის სანოტარო მოქმედება. გადაწყვეტილება კვლავ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, სადაც გაუქმდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მეხუთე ტომი, გვ.481, 2000 წელი

და მიღებულ იქნა ახალი. ბათილად იქნა ცნობილი მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან დის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ წილის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სანოტარო წესით დამონშმებული გარიგება. უზენაესმა სასამართლომ არასწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს განმარტება და აღნიშნა: „მემკვიდრე, რომელიც უარს ამბობს სამკვიდროს ნაწილზე, ან მის მისაღებად დათქვამს რაიმე პირობას ითვლება, რომ იგი ამბობს უარს მთელ სამკვიდროზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე არასწორია სააპელაციო პალატის განმარტება, რომ ე.გ-შვილის მიერ დ.ჯ-შვილის სამკვიდროს ნაწილზე მისი უფლების (მფლობელობის, სარგებლობის) შენარჩუნების პირობით გამოხატული ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, არ შეიძლება შეფასებული იქნეს უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე, რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აფიქსირებს სამკვიდროს მიღებაზე უარს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ე.გ-შვილის მიერ არყოფილა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივად ვარგისი ნება გამოვლენილი, რაც წარმოშობს სადაოდ გამხდარი გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა ან მის მისაღებად რაიმე პირობის დათქმა ითვლება მთელ სამკვიდროზე უარის თქმად. შესაბამისად სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნული მუხლის განმარტება არასწორია.“⁴²

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას რომ კანონმდებლობის მოთხოვნა რაიმე პირობის დათქმის დაუშვებლობასთან დაკავშრებით იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს და ითვლება მთელ სამკვიდროზე უარის თქმად.

საინტერესოა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის №ას-1017-1260-04 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-578-544-2010, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

მემკვიდრეები არიან შვილები და ერთ-ერთმა მოითხოვა ბინის მესაკუთრედ ცნობა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მემკვიდრეები შეთანხმდნენ სამკვიდრო ქონების იმგვარად განაწილებაზე, რომ ერთოთახიანი ბინა უნდა აღრიცხულიყო ერთი მემკვიდრის სახელზე, ხოლო სამოთახიანი ბინა დარჩებოდა მეორეს. უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა მტკიცებულებებს და წინამდებარე მუხლთან მიმართებაში განმარტავს: 1435-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა არ დაიშვება ნაწილობრივ, რაიმე დათქმით. საქმეში არ მოიპოვება შ.დ-ის მიერ სამკვიდრო ქონების ნაწილის მიღებაზე უარის თქმის დამადასტურებელი მტკიცებულება. ასეთი უარის არსებობის შემთხვევაშიც, მას იურიდიული ძალა ვერ მიენიჭებოდა, რადგან მემკვიდრეებს შორის მთლიანი სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეთანხმება კანონით დადგენილი წესითა და ფორმით არ ყოფილა დადებული.⁴³

ჩემი აზრით, მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მთლიანი სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეთანხმება არ იყო შესაბამისი მტკიცებულებით გამყარებული ლოგიკურია, რადგან მხარეთა ზეპირი გადაწყვეტილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ რაიმე შედეგი მოჰყვეს ამა თუ იმ ქმედებას. მიმაჩნია, რომ მემკვიდრეების წერილობითი შეთანხმება ქონების გაყოფასთან დაკავშირებით უნდა იყოს დამონმებული სანოტარო ორგანოს მიერ, თუმცა გაყოფაზე წინასწარ შეთანხმება იმ დათქმით, რომ ერთ ბინას ერთი მიიღებდა და მეორე ბინას მეორე მემკვიდრე არ არის დასაშვები, რადგან ასეთი შეთანხმება ფაქტობრივად უთანაბრდება იმას, რომ სამკვიდრო ქონების ნაწილზე ამბობს ერთი მხარე უარს. რაც მიმაჩნია, რომ დაუშვებელია. სასამართლო მართალია მიუთითებს, რომ არ დაიშვება რაიმე დათქმით სამკვიდროს მიღებაზე ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, თუმცა მსჯელობის ნაწილში მაინც ანვითარებს იმას თუ შეთანხმება იქნებოდა დამონმებული შესაძლებლობა ჩნდებოდა იმის, რომ მთლიანი სამკვიდრო

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1017-1260-04, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

გაყოფილიყო. მიმაჩნია, რომ ასეთი დაშვება კანონმდებლობის მოთხოვნას არ შეესაბამება.

ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1438-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც: „მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც ეკუთვნის შემატების უფლებით, სამკვიდროს დანარჩენი ნაწილის მიუხედავად.“ ზემოთ ვსაუბრობდით, რომ მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო და სხვა სახის დათქმას არ უნდა ქონდეს ადგილი, თუმცა მოცემული მუხლი საუბრობს, რომ მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც ეკუთვნის შემატების უფლებით. საკითხის უკეთ განხილვის მიზნით საინტერესოა თუ რას გულისხმობს კანონმდებელი შემატების უფლებაში. ჩემი აზრით, შემატების უფლება გულისხმობს დამატებით წილს მემკვიდრეებისთვის. იმ დამატებით წილს, რომელიც თავდაპირველად მემკვიდრეს არ ეკუთვნოდა და წარმოიშვა გარკვეული გარემოებების შედეგად, როგორც დამატებითი ქონება. უფრო მეტი სიცხადისთვის მოვიყვანოთ მაგალითი: ანდერძის მემკვიდრე ამავდროულად არის კანონით მემკვიდრე და ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდანაც ეკუთვნის წილი. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია ნაანდერძებ ქონებაზე უარი თქვას და დარჩეს მხოლოდ კანონით მემკვიდრედ. წილებს შორის არჩევა მემკვიდრისათვის სავალდებულო არაა. მას შეუძლია ყველა წილზე თქვას უარი. ასევე შეუძლია მემკვიდრეს უარი თქვას სამკვიდროს ქონების იმ ნაწილზე, რომელიც სხვა მემკვიდრის მიერ თავისი წილის მიღებაზე უარის თქმის გამო გადანაწილდა დარჩენილ მემკვიდრეებს შორის და მისი ხვედრით წილს დამატებით შეემატა.⁴⁴ მოყვანილი მაგალითის მიხედვით კიდევ უფრო ცხადი გახდა შემატების უფლების მნიშვნელობა, რომელიც წარმოიშვება ისეთ შემთხვევაში როდესაც ერთი მემკვიდრე უარს ამბობს თავისი წილის მიღებაზე, მაშინ ასეთი წილი შემატების

⁴⁴ რომან შენგელაია, ეკატერინე შენგელაია - მემკვიდრეობითი სამართალი, გვ.160, 2011 წელი

უფლებით ეკუთვნის სხვა მემკვიდრეს ან მემკვიდრეებს. კანონმდებლობა კი სწორედ ასეთი შემატებულ უფლებაზე უარის თქმას იცნობს.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტზეც, რომ მემკვიდრის მიერ ნათქვამი უარი მიემართება შემატებულ ნაწილზე და ეს უარი ისე არ უნდა იქნეს აღქმული თითქოს მემკვიდრე საერთოდ უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე. კანონმდებელი გვეუბნება, რომ მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს სამკვიდრო შემატებული ნაწილის გარეშე.

შემატების უფლებაზე საუბრისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამოქალაქო კოდექსის 1440-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც საუბარია წილის შემატებაზე უარის თქმისას. წინა აბზაცში აღვნიშნეთ შემატების უფლების შესახებ, რომელიც გულისხმობს დამატებით წილს მემკვიდრეებისათვის და ძირითად შემთხვევაში უკავშირდება ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ უარის თქმას. მოცემულ მუხლში ვკითხულობთ: “თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ განუცხადებია, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს, მაშინ მისი წილი შეემატება მემკვიდრეებად მოწოდებულ კანონით მემკვიდრეთა წილს, ხოლო, თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ – ანდერძით მემკვიდრეთა წილს და იგი განაწილდება მათ შორის მათი წილის პროპორციულად, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.” უნდა აღინიშნოს რომ წილის შემატების შემთხვევა ამ მუხლის მიხედვით არის განსაზღვრული როგორც ანდერძით, ასევე კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში. ვხედავთ, რომ თუ მთელი სამკვიდრო ანდერძითაა განაწილებული და უარი არ არის არც ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ ნათქვამი, მაშინ ქონების განაწილება ხდება წილის პროპორციულად, თუ ანდერძი სხვა დანაწესს არ ითვალისწინებს, ხოლო რაც შეეხება კანონით მემკვიდრეებს, ამ შემთხვევაში დათმობილი წილი ემატება მემკვიდრედ მოწოდებულ კანონით მემკვიდრეთა წილს. აქვე მინდა ყურადღება შევაჩერო იმ საკითხზე, რომ კანონით მემკვიდრეობის დროს დათმობილ წილთან დაკავშირებით არ გვხვდება განაწილების კონკრეტული მექანიზმი. არ არის

ჩანაწერი თუ რა პროპორციულობით ან რა თაბათარდობით ხდება განაწილება, აღნიშნული ჩანაწერი მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ორი მემკვიდრე იყო და ერთმა უარი განაცხადა მის წილზე, ხოლო ისეთ შემთხვევაში როდესაც ერთმა მემკვიდრემ უარი განაცხადა და ორი კანონით მემკვიდრე გვყავს კიდევ სახეზე რთულ ფენომენს წარმოადგენს განსაზღვრა თუ ვის რა წილი ეკუთვნის.

წინამდებარე თავში მოყვანილი საკითხის მიხედვით უნდა ითქვას, რომ არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა რაიმე დათქმით ან ვადით. მემკვიდრე ვალდებულია მთლიანად მიიღოს სამკვიდრო ან მთლიანად უარი თქვას მის მიღებაზე. გამონაკლისი ამ წესიდან არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც საკითხი ეხება შემატების უფლებით მიღებულ წილს და ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს აქვს უფლება რომ უარი განაცხადოს ამ შემატებულ წილზე და მიიღოს მემკვიდრეობა მის გარეშე.

5.3. უარი სხვა პირის სასარგებლოდ

წინა თავში ჩვენ საუბარი გვქონდა სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმასთან დაკავშირებით და წინამდებარე თავში კი განვიხილავთ შემთხვევას, რომელიც უკავშირდება სხვა პირის სასარგებლოდ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას.

შეკითხვაზე პასუხი დაიშვება თუ არა სხვა პირის სასარგებლოდ უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე არ შეიძლება იყოს მკათიო მანამ სანამ საკითხი სრულყოფილად არ იქნება შესწავლილი. თუმცა პასუხის გასაცემად შეგვიძლია გამოვიყენოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლის 1-ლი წინადადება, რომლის მიხედვითაც: „მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან.“ კანონის ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ მემკვიდრეს შეუძლია უარი

თქვას სხვა პირის სასარგებლოდ მემკვიდრეობის მიღებაზე. ამავე დროს საინტერესოა ისიც, რომ მემკვიდრე შესაძლებელია იყოს, როგორც კანონით, ასევე ანდერძით. აქედან გამომდინარე მემკვიდრეობის ორი სახის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში არის დასაშვები რომ მემკვიდრემ უარი განაცხადოს სხვა პირის სასარგებლოდ.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს ამავე მუხლის ბოლო წინადადებაზე, რომელიც სხვა მემკვიდრეებს ანიჭებს იმის უფლებას, რომ მემკვიდრის უარი გაასაჩივრონ სასამართლოში. საინტერესოა არსებობს თუ არა სხვა პირის სასარგებლოდ უარის თქმის ფაქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევები და როგორი გადანწყვეტილება აქვს მიღებული ასეთ შემთხვევაში სასამართლოს.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლის პირველ და მესამე წინადადებაზე, თუმცა ყურადღება არ გაგვიმახვილებია მუხლის იმ ჩანაწერზე, რომელიც სხვა პირის სასარგებლოდ უარის თქმის დაუშვებლობაზე საუბრობს. არ დაიშვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც ცნობილი არიან უღირს მემკვიდრეებად ან რომელთაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება.⁴⁵ ჩანაწერის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ ორი ჯგუფი იმ პირებისა ვის სასარგებლოდაც მემკვიდრეს არ შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. პირველი - პირი ცნობილია უღირს მემკვიდრედ და მეორე - ანდერძით პირდაპირ აქვს ჩამორთმეული მემკვიდრეობის უფლება. ამ ორი ჯგუფის მიმართ კანონმდებელი გვეუბნება რომ არ არის დაშვებული მათ სასარგებლოდ უარის თქმა.

სხვა პირის სასარგებლოდ უარის თქმაზე საუბრისას ყურადღება ასევე უნდა გავამახვილოთ ისეთ საკითხზე, რომელიც გულისხმობს შესაძლებლობას ერთმა მემკვიდრემ უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე რამოდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ. ამისათვის უნდა განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსის 1442-ე

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1439

მუხლი, რომლის მიხედვითაც: „თუ მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ, მას შეუძლია მიუთითოს თითოეულის წილზე. ასეთი მითითების არარსებობისას მისი წილი თანაბრად განაწილდება იმ მემკვიდრეებზე, რომელთა სასარგებლოდაც უარი იყო ნათქვამი სამკვიდროს მიღებაზე.“ კანონის ამ ჩანაწერის მიხედვით ცალსახაა, რომ მემკვიდრეს აქვს უფლებამოსილება, რომ უარი განაცხადოს არა მხოლოდ ერთი პირის სასარგებლოდ, არამედ რამოდენიმე პირის სასარგებლოდაც. თუმცა რამოდენიმე პირის სასარგებლოდ უარის თქმის შემთხვევაში მემკვიდრეს აქვს უფლება, რომ გააკეთოს მითითება წილის შესახებ, რა შემთხვევაშიც ის არის სრულიად თავისუფალი, კერძოდ მას აქვს უფლება თანაბრად გაყოს ან შეხედულებისამებრ გაუნაწილოს თითოეულს წილი, ხოლო რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არის მითითება წილების შესახებ მაშინ თანაბარი წილის მექანიზმი გამოიყენება.

საინტერესოა ასევე შვილიშვილის სასარგებლოდ უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით: „სამკვიდროზე უარის თქმა შვილიშვილის სასარგებლოდ დასაშვებია, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ან თუ შვილიშვილი ანდერძით მემკვიდრეა.“⁴⁶

„კანონით მემკვიდრეობის დროს შვილიშვილი სამკვიდროს იღებს წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლებით. სხვა შემთხვევაში იგი მემკვიდრედ არ ითვლება.“⁴⁷ წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლებით სამკვიდროს მიღებაში მოიაზრება ის, რომ შვილიშვილის სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ იქნება უარი დასაშვები თუ სამკვიდროს გახსნის დღისთვის მამკვიდრებლის შვილი ცოცხალი აღარ არის. შესაბამისად, თუ მამკვიდრებლის შვილი ცოცხალია ამ შემთხვევაში არ არის დაშვებული შვილიშვილის სასარგებლოდ სამკვიდროზე

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1443

⁴⁷ რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - მემკვიდრეობითი სამართალი, გვ.163, 2011 წელი

უარის თქმა. ეს შემთხვევა ეხება კანონით მემკვიდრეობას. რაც შეეხება ანდერძით მემკვიდრეობას, ჩვენ ვიცით, რომ ანდერძში მამკვიდრებელი გამოხატავს თავის ნებას, შესაბამისად თუ მამკვიდრებლის ანდერძში შვილიშვილი იქნება მოხსენიებული, მაშინ უარი სამკვიდროს მიღებაზე დასაშვებია. შვილიშვილის სასარგებლოდ უარის თქმის შემთხვევა, როდესაც საქმე ეხება კანონით მემკვიდრეობას, სწორედ იმიტომ ხასიათდება თავისებურებით რომ კანონმდებლობის მოთხოვნაა შვილიშვილის მშობელი, ანუ მამკვიდრებლის შვილი სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის იყოს გარდაცვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია შვილიშვილის სასარგებლოდ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა.

5.4. ერთადერთი მემკვიდრის უარი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახეზეა ერთადერთი მემკვიდრე და ისიც უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე. უნდა აღნიშნოს, რომ ასეთი შემთხვევის არსებობა ძალიან იშვიათობაა, თუმცა არა გამორიცხული. როგორც ჩანს სწორედ ამიტომ გაითვალისწინა კანონმდებელმაც აღნიშნული ჩანაწერი ქართული სამართალწარმოებისთვის. კანონმდებლობის მიხედვით: „თუ მემკვიდრე, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, ერთადერთია ამ რიგის მემკვიდრეთა შორის, მაშინ სამკვიდრო გადავა მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე.“⁴⁸ აღნიშნული სამართლებრივ ნორმა კონკრეტულად მიუთითებს თითოეული რიგის ერთადერთ მემკვიდრეზე, რომლის უარი იწვევს შემდეგი რიგის მემკვიდრეებზე გადასვლას. „მაგალითად, თუ სამკვიდროს მისაღებად მონვეული პირი ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრეა და უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ სამკვიდროს მისაღებად მოიწვევიან მეორე რიგის მემკვიდრეები, თუ მეორე რიგის მემკვიდრე

⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1441

ერთადერთია ამ რიგში და უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ სამკვიდროს მისაღებად მოწვეული იქნებიან მესამე რიგის მემკვიდრეები და აშ.⁴⁹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მეშვეობის ძეხვის შედეგად აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც გამოყენებულია 1441-ე მუხლი. გადაწყვეტილება მიღებულია 2017 წლის 18 დეკემბერს (საქმის ნომერი ას-1219-1178-2016) . გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 1980 წელს, რომლის მემკვიდრეებსაც წარმოადგენს მოსარჩელე, რომელიც იყო ნაშვილები პირი და მოპასუხეები მამკვიდრებლის ძმის შვილი და მისი შვილიშვილი, რომელმაც ჩუქებით მიიღო ქონება. მოსარჩელე მიუთითებდა რომ არ მიუღია სამკვიდრო. ასევე ვკითხულობთ რომ მოსარჩელემ სამკვიდროს მიღების თაობაზე პრეტენზია განაცხადა 2015 წლის 25 ივნისს, ე.ი. მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 35 წლის შემდეგ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მამკვიდრებლის სამკვიდრო არ მიუღია და არც სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება მოუთხოვია, მას 35 წლის განმავლობაში სამკვიდროს მიუღებლობის საპატიო მიზეზიც არ დაუსახელებია. ხოლო, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ბავშვები დარჩა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საფუძველი არ იყო. გამომდინარე აქედან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი ედავა მამკვიდრებლის სამკვიდროზე. სააპელაციო პალატის მითითებით, მამკვიდრებლის სამკვიდრო სსკ-ის 1441-ე მუხლის საფუძველზე, მისი მეორე რიგის მემკვიდრემ, მამკვიდრებლის ძმამ, ხოლო, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, პირველმა მოპასუხემ მიიღო. ვინაიდან მოსარჩელე მამკვიდრებლის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე იყო და მას სამკვიდრო არ მიუღია, სამკვიდრო გადავიდა მის მეორე რიგის მემკვიდრეზე, მამკვიდრებლის ძმაზე,

⁴⁹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მეხუთე ტომი, გვ. 485, 2000 წელი

რომელიც სამკვიდროს მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე დაეუფლა. სააპელაციო პალატის განმარტებით, ის, რომ მომდევნო რიგის მემკვიდრის უფლებები წინა რიგის მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიუღებლობის შემთხვევაშიც წარმოიშობა, დასტურდება სსკ-ის 1425-ე მუხლის შინაარსიდანაც.⁵⁰ წინამდებარე გადანწყვეტილებით მართალია ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრის უარი არ გვაქვს სახეზე, თუმცა გვაქვს სამკვიდროს მიუღებლობის 35 წლიანი პერიოდი, რომელიც არანაირი საპატიო მიზეზით არ არის გამყარებული. შესაბამისად, შემდეგი რიგის მემკვიდრემ დაიწყო ქონების ფლობა და მართვა, რასაც მოჰყვა ის რომ სამკვიდროს მფლობელი გახდა კანონმდებლობის შესაბამისად.

საინტერესო ფაქტად მიმაჩნია ასევე იმ საკითხის აღნიშვნა, როდესაც ერთადერთი მემკვიდრე მეხუთე რიგის წარმომადგენელია და ისიც უარს ამბობს მამკვიდრებლის სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ქონება რომელიც წარმოადგენს სამკვიდროს ხდება უმკვიდრო ქონება. შესაბამისად, უმკვიდრო ქონებასაც ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში უმკვიდრო ქონება გადაეცემა უფლებამოსილ სუბიექტებს:

ა) მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებას, თუ მამკვიდრებელი მათ რჩენაზე იმყოფებოდა;

ბ) სახელმწიფოს, თუ არ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სუბიექტებისათვის უმკვიდრო ქონების გადაცემის საფუძველი.

უმკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც: „უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1219-1178-2016, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ აღნიშნული მუხლი განამტკიცებს გამონაკლისს იმ საერთო წესიდან, რაც გულისხმობს უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლას და ეს წესი ეხება სამეწარმეო სამართალს, რადგან უმკვიდრო ქონება (წილი, აქცია და პაი) გადადის სამეწარმეო საზოგადოების ან კოოპერატივის ხელში. ასეთ შემთხვევაში ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს წესი ეხება მხოლოდ წილს, აქციას და პაის. საყურადღებოა, ასევე მოცემული მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც შეიძლება კანონით სხვა რამე იყოს გათვალისწინებული.

უმკვიდრო ქონების მიღების მიზნით უფლებამოსილი სუბიექტი ვალდებულია ნოტარიუსს მიმართოს განცხადებით. განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით. განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც მემკვიდრეობის გახსნიდან ექვსი თვის გასვლამდე, ისე ამ ვადის გასვლის შემდეგ. მონშობა უმკვიდრო ქონების უფლებამოსილი სუბიექტისათვის გადაცემის შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ მემკვიდრეობის გახსნიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ.⁵¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უკვე ვიცით თუ როგორია უმკვიდროდ დარჩენილი ქონების ბედი.

5.5. უარის თქმის უფლების გადასვლა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განმტკიცებულია ისეთი საკითხი, რომლის მიხედვითაც წესრიგდება უარის თქმის უფლების გადასვლა. ამ საკითხის მოწესრიგებას, როგორც სამემკვიდრეო ურთიერთიერთობისთვის დამახასიათებელ ელემენტს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც: “სამკვიდროზე უარის თქმის უფლება გადადის

⁵¹ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანება, 78-ე მუხლი

მემკვიდრეობით.⁵² აღნიშნულ ნაწილთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში ვკითხულობთ, რომ „სამკვიდროზე უარის თქმის უფლების გადასვლა მემკვიდრეობით იმაში გამოიხატება, რომ გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრესაც აქვს უარი თქვას იმ წილის მიღებაზე, რაც გარდაცვლილს ეკუთვნოდა.“⁵³ კომენტარის მსჯელობის პარალელურად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლებელია აღნიშნულ ჩანაწერს ჰქონდეს მეორე გაგება: თითქოს მემკვიდრე რომელიც უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, შემდგომში უკვე მის მემკვიდრეებსაც აქვთ უარი ნათქვამი სამკვიდროს მიღებაზე, რადგან მემკვიდრეობით გადასვლა ხომ გულისხმობს გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისთვის მინიჭებას. ერთი შეხედვით ბუნდოვანი ჩანს მოცემული მუხლი და არ შეიძლება მსჯელობა მხოლოდ ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, რადგან შემდეგი ნაწილი შესაძლოა აკონკრეტებდეს მოცემულ ტექსტს.

საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ მითითებული მუხლის მეორე ნაწილიც, რომლის მიხედვითაც: „თუ მემკვიდრე გარდაიცვლება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე, მაშინ ეს ვადა არ დასრულდება იმ დროის გასვლამდე, რაც დარჩა მემკვიდრის შემდეგ.“ მაგალითად „ა“ გარდაიცვალა მემკვიდრედ მიწვევის შემდგომ, ისე რომ მას მისი ნება არ გამოუხატავს და გარდაცვალების ფაქტიც კანონით დადგენილ უარის თქმის ვადაშია მოქცეული, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს მემკვიდრის მემკვიდრე? ასეთ შემთხვევაში კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მემკვიდრის მემკვიდრის უფლებამოსილებაა დარჩენილ ვადაში უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე. შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული არაა მემკვიდრის გარდაცვალებით სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის დენის შეწყვეტა. პირიქით მემკვიდრის მემკვიდრეს აქვს შესაძლებლობა, რომ დააფიქსიროს უარი

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1448

⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მეხუთე ტომი, გვ.489-490, 2000 წელი

სამკვიდროს მიღებაზე. პირველ მუხლში აღნიშნული მემკვიდრეობით უარის თქმის უფლება სწორედ ამ საკითხს გულისხმობს, რომ თუ ვერ მოახერხებ საკუთარი უფლების განხორციელებას მემკვიდრე, ეს დაასრულოს უკვე შემდგომში მემკვიდრის მემკვიდრემ.

ასევე საინტერესოა მესამე ნაწილი, რომელიც საუბრობს, რომ გარდაცვლილი მემკვიდრის რამდენიმე მემკვიდრიდან თითოეულს შეუძლია უარი თქვას მხოლოდ მის სამკვიდრო წილზე. კანონის ჩანაწერიდან გამომდინარეობს რომ ერთ-ერთი მემკვიდრის უარი არ ნიშნავს სხვა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს წილზე უარის თქმას, არამედ თუ რამდენიმე მემკვიდრეა მაშინ თითოეულს მოუწევს უარის თქმა და ეს უარი დაკავშირებული იქნება ასეთი მემკვიდრის წილთან.

6.დასკვნა

მოცემული ნაშრომის მიზანი, როგორც შესავალი ნაწილიდან ირკვევა იყო ის რომ განგვეხილა მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადები. წინამდებარე ნაშრომის მიხედვით კი წინაპლანზეა წამოწეული ასეთი ვადები და თანდართულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც თუ ამა თუ იმ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე როგორი მსჯელობა განახორციელა სასამართლო უწყებამ. ასევე უნდა აღინიშნოს, ისიც რომ ნაშრომშივე განხილულია ის წინაპირობები რომელიც დაკავშირებულია მემკვიდრეობის მიღების წინაპირობებთან და რასაც შეუძლია პრაქტიკული გამოყენება ჰპოვოს რადგან სამემკვიდრეო-სამართელრბივი ურთიერთობები საზოგადოებაში მრავალ ისეთ შეკითხვას ბადეს, რაც ძირითად შემთხვევებში კანონმდებლობის სრულყოფილად აღქმისა და გაანალიზების საშუალებას მოკლებული ფენიდან მომდინარეობს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ამ საკითხის კიდევ ერთხელ განხილვა სარგებლის მომტანი იქნება დაინტერესებული პირებისათვის.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, ის საკითხი რომ სამკვიდროს მიღების ვადის ათვლა იწყება გარდაცვალებით ან გარდაცვლილად გამოცხადებით. შესაბამისად, სამკვიდროს გახსნა ეს ასოცირდება გარდაცვალებასთან. სამკვიდროს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიღებით შემდეგი გართულებების თავიდან აცილება ხდება. ნაშრომის მიხედვით ყურადღება გამახვილებულია მემკვიდრეობის მიღების ვადის გაგრძელებაზეც და მოყვანილია სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, თუმცა როგორც აღვნიშნეთ ვადის გაგრძელება საპატიო

მიზეზთან ასოცირდება და ამ მიზეზის საპატიოდ აღიარებას უზრუნველყოფს სასამართლო, რაც კიდევ დამატებით დროს, ენერგიასა და რესურსს მოითხოვს დაინტერესებული პირიდან.

სამკვიდროს მიღების ვადების პარალელურად ნაშრომში ასახულია სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის შესახებ. სამკვიდრო მიღებასთან განუყოფლად არის დაკავშირებული მასზე უარის თქმა, რადგან მემკვიდრე რომელიც უარის თქმისთვის განსაზღვრულ ვადაში არ უზრუნველყოფს უარის გაფორმებას შესაბამის უწყებაში მას ეს უფლება შემდგომში აღარ მიენიჭება. არ უნდა დაგვაინყდეს ის დამატებითი ვადა, რომელსაც კანონმდებელი საპატიო შემთხვევებისთვის აწესებს.

ნაშრომში ქართულ ლიტერატურასა და სამართლებრივ აქტებთან ერთად პარალელურად გავლენიანი სხვა ქვეყნის კანონმდებლობასთან. მათ შორის გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან და საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოებასთან.

ნაშრომში ასახულია სამკვიდროს მიღებისა და სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისთვის კანონმდებლობით დაწესებული ვადების დაცვის შემთხვევაში ბევრი გრძელვადიანი და ხშირ შემთხვევაში არასასიამოვნო პროცედურების თავიდან აცილება შესაძლებელი.

7. ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
4. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანება;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2000;
6. შენგელია რ., შენგელია ე. - მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011;
7. მეტრეველი ვ. - საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2003 წელი;
8. ნინუა ე. - სამკვიდროს მიღების ზოგიერთი თავისებურებები, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი #2/18, 2018 წელი, გვ.114-120;
9. ნანდოშვილი ე. - ანდერძი და სამკვიდრო ქონება, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი #3/17, 2017 წელი, გვ.101-113;
10. ნინუა ე. - ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი #1(40)/14, 2014 წელი, გვ.128-133;
11. კობრეიძე ლ. - ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას უურნალი მართლმსაჯულება და კანონი #2/14, 2014 წელი, გვ.9-33;
12. მენაბდიშვილი ს. - კანონით მემკვიდრეობა, სამოქალაქო სამართალი, „ალმანახი“ გამოიცა OSI-სა და NOVIB-ის ფინანსური მხარდაჭერით, თბილისი 1998 წელი, <<http://www.library.court.ge/upload/ar%20devs%2012.pdf>>
13. სამკვიდროს მიღება - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე, თბილისი 2017 წელი, გვ.98-102; <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo.pdf>>

14. სამკვიდროს მიღება - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებანი, თბილისი 2016 წელი, გვ.82;
<<http://www.supremecourt.ge/files/u0pload-file/pdf/mnishvnelovani-ganmartebebi-2016.pdf>>
15. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება,
<https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf>

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - №ას-646-613-2014
< <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> > à
2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება - №3ბ/1234-16
<<http://library.court.ge/judgements/32672017-08-30.pdf> >
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მნიშვნელოვანი განმარტება (საქმე#177-167-2011),
<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba18.pdf>>
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1101-1021-2017, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>>
5. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - №ას-655-621-2015
<<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის #ას-1114-1071-2016,< <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-380-380-2018, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-38-347-04, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-578-544-2010, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1017-1260-04 , <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1219-1178-2016, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის #ას-1224-1076-2010, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> >